

გამოკითხვა ჩატარდა 2020 წლის 29 ივნისიდან 29 ივლისის ჩათვლით. მონაწილეობა მიიღო სტუდენტების 59%-მა.

**სხვა დროს, როდესაც მორჩება ვირუსით გამოწვეული პანდემია, მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ რომ ონლაინ სწავლა-სწავლების მეთოდი უნდა დარჩეს?**

- დიახ - **46 (23%)**
- არა - **72 (35%)**
- შერეული ტიპით პირისპირ სწავლების პარალელურად გარკვეულ დროს საჭიროა - **77 (38%)**
- არ მაქვს პასუხი - **1 (0.5%)**
- სხვა - **6 (3%)**

დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები

- არ უნდა იყოს, ვინაიდან ზოგს საერთოდ არა აქვს წვდომა ინტერნეტთან,
- ასეთი სწავლება ნამდვილად არ არის ისეთი ხარისხიანი...
- დიახ, რადგან არის შემთხვევები როცა რეგიონებიდან ვერ ვახერხებთ ბავშვები უნივერსიტეტში მისვლას და ეგ კარგი საშუალება იქნება ჩვენთვის როცა შევძლებთ სახლიდან ონლაინ სწავლას ან თუნდაც დავალების ატვირთვას
- დროდადრო საჭიროა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მოწვეული ლექტორები ატარებენ და შეიძლება ზოგჯერ ვერ მოახერხონ ჩამოსვლა დიდი მანძილის გამო.
- დღევანდელი რიალობის გათვალისწინებით მე პირადად მივესალმები ონლაინ ლექციებს...
- ეს ფრო მოსახერხებელია, ვინაიდან სტუდენტთა გარკვეული ნაწილი დასაქმებული. ამავდროულად იზოგება მგზავრობის ხარჯები
- ვირუსით გამოწვეული პანდემიის დასრულების შემთხვევაში, ონლაინ სწავლების გაგრძელების საჭირობას ვერ ვხედავ, რადგან უნივერსიტეტში ახსნილი ლექცია - სემინარები უფრო ეფექტური და შედეგიანია, მაღლობა პანდემიის დროს გაწეული სამსახურისთვის
- კი კარგია რომ გაგრძელდეს, ვინაიდან ზოგიერთს გაგვაჩნია ისეთ პრობლემა რომლის გამოც ვერ ვახერხებთ სიარულს მიუხედავად დიდი სურვილისა. თუნდაც აფხაზეთის საზღვრის გადმოლახვა
- მიმაჩნია საჭიროდ ონლაინ სწავლება
- ონლაინ სწავლება არ იძლევა ისეთ შედეგს როგორც ლექციებზე დასწრება
- ონლაინ სწავლება მეტას მოსახერხებელია, გათხოვილი და ბავშვიანი სტუდენტისთვის.
- პირადად ჩემთვის ონლაინ სწავლება ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა. ასევე დარწმუნებული ვარ რომ პირველ-კურსელებისთვის ონლაინ სწავლება ნაკლებად ეფექტური იქნება.
- რა თქმა უნდა, უნდა დარჩეს. სამწუხაროდ, ყველა ვერ ახერხებს უნივერსიტეტში სისტემატიურად დასწრებას და მათთვის ხელსაყრელია ონლაინ სწავლება და მათ კატეგორიაში ვარ მეც. სწავლის ხარისხი არის იგივე (კარგი) მთავარია სტუდენტის ჩართულობა ამ პროცესში.
- რასაკვირველია, ლექციებზე დასწრება უფრო ხარისხიანია, შესაბამისად, განათლებასაც უფრო ხარისხიანად მივიღებთ, თუმცა პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, რამაც დაგვანახა ონლაინ სწავლების არსი, ვფიქრობ, საჭიროა სწავლების ეს ფორმაც დარჩეს,

რასაკვირველია, ლექციებზე დასწრების პარალელურად. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შერეული ტიპის სწავლება პირადად ჩემთვის მისაღებია.

- როდესაც პანდემიის საფრთხე გაივლის სრულად უნდა აღდგეს რეალურ სივრცეში სწავლება.
- როცა ვერ ახერხებს ფიზიკურად სტუდენტი სასწავლებელში მისვლას და სურს რომ არ გამოტოვოს რომელიმე ლექცია ძალიან კარგი ალტერნატივაა ამ დროს
- ფორსმაჟორი სიტუაციის გამო თუ არ მაქვს შესაძლებლობა ფიზიკურად დავესწრო ლექციას, მაშინ უნდა მქონდეს შესაძლებლობა ონლაინ დასწრების
- შერეული ტიპით სწავლება ჩემთვის მისაღებიცაა
- ჩემი აზრით საჭიროა რადგან ყოფილა შემთხვევა როდესაც სამსახურიდან გამოვსულვარ და ნახევარ მძინარე ლექციაზე მჯდარვარ რომ გაგრძელდეს ონლაინ ლექცია სახლში დასვენებულად მოვუსმენ ლექციას და დიდი სიამოვნებით და უფრო მონდომებითაც კი ვისწავლი
- ჩემი აზრით სტუდენტებისთვის უფრო მოსახერხებელია ონლაინ სწავლება, პირადად ჩემთვის ასე უფრო მოსახერხებელია, როცა შეგიძლია ნებისმიერი ადგილიდან მოისმინო ლექცია და ჩააბარო სემინარი
- ჩემი აზრით, სწავლა Online რეჟიმში ძალიან მოსახერხებელია. ეს პროცესი არ უნდა შეწყდეს მომავალში. იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც მუშაობენ და ვერ ახერხებენ ყოველდღე უნივერსიტეტში სიარულს, მათთვისაც ეს კარგი შესაძლებლობაა, რომ სწავლის პროცესი არ დაზიანდეს და ქულებიც არ დაეკარგებათ. ასევე, როდესაც ვსწავლობთ online , ჩვენ შეგვიძლია ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორცაა თვითდისციპლინა, დროის მენეჯმენტი

**რომ არ ყოფილიყო თვითიზოლაცია და საგანგებო მდგომარეობის პირობები, ამდენ დროს ონლაინ სწავლისთვის გამონახავდი?**

- არა - **20 (10%)**
- ვერა - **78 (39%)**
- რა თქმა უნდა გამოვნახავდი - **80 (40%)**
- არ მაქვს პასუხი - **16 (8%)**
- სხვა - **6 (3%)**

**დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები**

- ალბათ კი, მაგრამ თუ ამდენი თავისუფალი დრო არ მექნებოდა რაც ამ პერიოდში გვქონდა ალბათ დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ დღის რომელ შუალედში ჩავგიტარებოდა ონლაინ ლექციები
- გამოვნახავდი
- გაცილებით მეტ დროს.
- დროთა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მე პირადად მივესალმები ონლაინ გაკვეთილების განვითარებას ...
- დროს გამოვნახავდი და მოსახერხებელიც იქნებოდა ჩემთვის, რადგან ვარ დასაქმებული და ყოველდღე ვერ დავდიოდი უნივერსიტეტში.
- ვერ გამოვნახავდი
- ვერა

- ვერა რადგან სტუდენტების უმეტესობა მუშაობს
- ვფიქრობ რთული იქნებოდა, რადგან შესაძლებელი იქნებოდა დღის გადატვირთვა სხვადასხვა მოქმედებებით
- იმაზე დიდი დრო გამოვნახე ვიდრე სხვა სიტუაციაში,თუმცა დიდ დროს მაინც ვერ ვუთმობდი რადგან 15 დღის პაუზის გარდა ყოველთვის ვმუშაობდი. თუმცა ცალკე დაბრკოლებაა ჩართვისთვის ოჯახი და ის საქმეები რაც ოჯახში უნდა გავაკეთოთ.
- იმიღებული ვიყავი, რომ ონლაინ სწავლებისათვის მიმემართა, რადგანაც მხოლოდ ასე იყო შესაძლებელი სწავლა
- კი გამოვნახავდი ნებისმიერ შემთვევაში ონლაინ სწავლისთვის დროს
- რა თქმა უნდა გამოვნახავდი
- რა თქმა უნდა გამონახავდი
- რა თქმა უნდა, გამოვნახავდი დროს, რადგან მოწადინებული ვარ ცოდნის გაღრმავებაში.
- რა თქმა უნდა,გამოვნახავდი. იქიდან გამომდინარე, რომ ონლაინ ჩართვის დროს არ იქნებოდა საჭირო უნივერსიტეტში ოფიციალურად გამოცხადება, ვფიქრობ,არანაირი პრობლემა იქნებოდა ჩართვის თავიდან ასარიდებლად.
- რა თქმა უნდა გამოვნახავდი
- რა თქმა უნდა ეს არის ძალიან ხელშემწყობი პროცესი.
- სახლში ყოფნა უწყობს ხელს დავეუთმოთ დრო ონლაინ რეჟიმს. სხვა შემთხვევაში ეს შეუძლებელიც კია.
- სიახლეების არ უნდა გვეშინოდეს. თანამედროვე ტექნოლოგიები უნდა გამოვიყენოთ
- სტუდენტს იმიტომ ჰქვია სტუდენტი რომ ისწავლის და არა ნაძალადევას ისწავლოს თვითიზოლაციაში
- ცხადია თვითიზოლაციამ და საგანგებო მდგომარეობამ მეტი დრო გამოათავისუფლა და შესაბამისად ლექციების დასწრებაც მეტად გახდა შესაძლებელი.

**ჩამოთვლილთაგან, რომელი თვალსაზრისითაა გამართლებული და დადებითი მოვლენა ონლაინ სწავლება?**

- ტრანსპორტირების თვალსაზრისით - 74 (25%)
- დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით - 95 (32%)
- არანაირად არაა ონლაინ სწავლება დადებითი მოვლენა - 24 (8%)
- თუ ადამიანს გარკვეული შეზღუდვები აქვს იმ შემთხვევაშია გამართლებული - 98 (32%)
- არ მაქვს პასუხი - 8 (2%)
- სხვა - 3 (1%)

**დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები**

- არ მაქვს პასუხი
- არანაირად არა ეს კარგი.
- დროის თვალსაზრისით
- თუ ადრე გზაზე 3 საატამდე ვხარჯავდი, ახლა უკვე ამ დროს სწავლებას ვუთმობ.
- თუნდაც ავადყოფნის დროს შეგიძლია დასწრება ონლაინ ლექციებზე,დროის მენეჯმენტის თალსაზრისით ვფიქრობ ყველაზე კომფორტულია
- იმ სტუდენტებისთვის რომლებიც უნივერსიტეტისგან მოშორებით ცხოვრობენ და არ აქვს იმის საშუალება რომ ყოველდღე იარონ უნიში მოსახერხებელია ონლაინ სწავლება
- იმის გამო რომ უნივერსიტეტში ვერ

- ლექტორი ვერ შეაფასებს ონლაინ სწავლებით სტუდენტის შესაძლებლობებს. ასევე ზოგიერთი სტუდენტი კომპიუტერიდან კითხულობდა სემინარებს და ეს ლექტორისთვის შეუმჩნეველი იყო...
- ლექციების პარალელურად შეგიძლია აწარმოო სხვა მნიშვნელოვანი საქმე
- მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა.
- ონლაინ სწავლება სასარგებლოა იმ შემთხვევაში თუ ვირუსის გავრცელების საფრთხე არაა საგანგაშო
- ონლაინ სწავლება სტუდენტებს გვეხმარება ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაში...
- ონლაინ სწავლება ტრანსპორტირების მხრივაც და დროის მენეჯმენტის მხრივაც დადებით მოვლენად შეიძლება შეფასდეს.
- ონლაინ სწავლებას უარყოფით თვისებებთან ერთად, გააჩნია დადებითი თვისებებიც, კერძოდ, როგორც ზემოთ იქნა გრაფაში აღნიშნული. ვფიქრობ, ნამდვილად დადებითად უნდა ჩაითვალოს დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით, აგრეთვე, ტრანსპორტირების თვალსაზრისითაც, სრულიად, სახლიდან გაუსვლელად, შევძელით და შეგვიძლია მოვუსმინოთ საჭირო ლექციას.
- ონლაინ ლექცია უფრო ნაკლებ დროს მიმდინარეობს ვიდრე ჩვეულებრივი. დავძენდი იმას, რომ ტრანსპორტირებაც არაა საჭირო.
- ორი მცირეწლოვანი შვილის დედა ვარ და ჩემთვის პრობლემურია ყოველდღიურად უნივერსიტეტში მისვლა.
- როგორც ტრანსპორტის ხარჯების შემცირების ისე დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით
- სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული შეფერხებისას; სწავლის პროცესში სტუდენტის ქალაქგარეთ ყოფნის შემთხვევაში;
- ტრანსპორტირება, დროის მენეჯმენტიც თუმცა სახლის საქმეებს რომელსაც შეიძლება თავი აარიდო უნივერსიტეტში ყოფნის დროს რადგან ფიზიკურად არ ხარ სახლში ახლა ვერ უგულებელყოფ
- ჩემი აზრით გამართლებულია ტრანსპორტირების ხარჯის შემცირების თვალსაზრისით , დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით, ასევე მაშინ როცა ადამიანს გარკვეული შეზღუდვები აქვს.
- ჩემი აზრით, ტრანსპორტირების თვალსაზრისით
- ჩემით აზრით უფრო ტრანსპორტირების თვალსაზრისით

**რომელი ლექტორის ონლაინ საქმიანობას გამოარჩევდით როგორც ყველაზე ნაყოფიერს? (შეგიძლიათ დაწეროთ რამდენიმე სახელი და გვარია, ან მიუთითოთ საგნის დასახელება)**

- ვფიქრობ, რომ ყველა ლექტორი მეტად ჩართული იყო ამ პროცესში, რადგან ნებისმიერ დროს მზად იყვნენ (თუნდაც Facebook-იდანაც კი აეხსნათ შენთვის გაუგებარი მასალა) და ამიტომაც რომელიმეს გამორჩევა არა ობიექტური მგონია.
- თითოეული ლექტორის ონლაინ სწავლება იყო ნაყოფიერი.
- ასე ცალკე ლექტორის გამოყოფა ალბათ გამიჭირდება, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ თითოეული მათგანი ცდილობდა სტუდენტებისთვის მაქსიმალური გაეკეთებინა, და მიეწოდებინა ის რაც აუცილებელია ჩვენთვის.
- რა თქმა უნდა თითოეული საგნის ლექტორი სრული პასუხისმგებლობით იყო ჩართული თავის საქმეში ასე , რომ ასე კონკრეტულად არ გამოვყოფ.
- რთულია გამორჩევა

- მე და ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებს და არამართო მასტუდენტებს მთლიანად მთელმა ადამიანმა იცის რომ ჩვენს უნივერსიტეტში არის მაღალკვალიფიციური და გამოცდილი პროფესორები და ლექტორები ამიტომ ამ ყველაფრიდან გამომდინარეობს დასკვნა რომ თითოეული ლექტორის ონლაინ ლექცია არის ძალზედ ნაყოფიერი და პროდუქტუნარიანი სტუდენტებისათვის..
- მე ძალიან გამიმართლა, რადგან ყველა ლექტორი ცდილობდა, რომ მაქსიმალურად გამოეყენებინათ ონლაინ სწავლების პლატფორმა, რათა ჩვენ, სტუდენტებს არ დაგვკლებოდა რამე თითოეულ საგანში.
- პირადად მე, ვერ გამოვყოფდი ვერცერთს. თითოეული ლექტორი ნაყოფიერად მუშაობდა ლექციის ჩართვისას, სემინარების ჩაბარებისას და ა.შ. დიდი მადლობა თითოეულ მათგანს ამ გამოწვევის ასე დაუღალავად გაწევისთვის. .
- ჩემი ყველა ლექტორი ნაყოფიერად მუშაობდა
- მიჭირს გამორჩევა
- მიჭირს დასახელება.ყველამ კარგად იმუშავა
- კმაყოფილი ვარ ყველა ლექტორისაგან
- ლექტორები მასალას საფუძვლიანი ახსნის გარეშე არ გვამღვდნენ (ამ გვერდიდან იმ გვერდამდე არ შემოიფარგლებოდნენ) და ასევე ისეთ პრაქტიკულ მხარეებზე გვიმახვილებდნენ ყურადღებას, რაც აუცილებლად შეგვხვდება და გამოგვადგება პრაქტიკაშიც.

**რა იყო ის, რაც თქვენ მიერ დასახელებულ ლექტორებს განსაკუთრებით გამოარჩევდა ონლაინ სწავლებისას?**

- სწავლების მეთოდები - **115 (34%)**
- შეფასების ფორმები და კრიტერიუმები - **60 (18%)**
- ადამიანური დამოკიდებულება საქმისადმი და სტუდენტებისადმი - **135 (40%)**
- არ მაქვს პასუხი - **20 (6%)**
- სხვა - **4 (2%)**


**დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები**

- დროის გრაფიკი, დამოკიდებულება და სწავლის მეთოდიკა
- დროული კომუნიკაცია სტუდენტთან, სწრაფი უკუკავშირი
- იმედია ასეთი მეთოდი არ განმეორდება არასოდეს არც საქართველოში და არ სხვა ნებისმიერ ქვეყანაში... ონლაინ სივრცე ყველაფერში სასარგებლოა გარდა საუნივერსიტეტო და სასკოლო სწავლებისა... მიუხედავად იმისა რომ არცერთი სემინარი, ქვიზი, შუალედური და დასკვნითი გამოცდა არ გამომიტოვებია და არ შემქნია პრობლემა ქულების მხრივ(პირიქით უფრო მაღალი ქულებიც ავიღე) ამით ჩემი ცოდნის ხარისხი ვერ შეედრება პირველი სემესტრში მიღებულ ცოდნის ხარისხს... მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ რომ არა ონლაინ სივრცე საერთოდ ვერ მოვახერხებდით სწავლას
- იჩენდნენ მაქსიმალურ ყურადღებას და ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტ ადამიანს ესწავლა
- მადლობა
- მათი შრომა სტუდენტების წინაშე ფასდაუდებელია. მადლობა მათ პასუხისმგებლობის გრძნობისათვის.
- მეტად სასურველია აღდგეს სწავლება რეალურ სივრცეში.
- ონლაინ სწავლება საქანგასო მდგომარეობის დროს იძლევა საშუალებას დისტანციის შენარჩუნებაში.


- პუნქტუალურობა, კონკრეტულობა
- სისტემატიურობა.
- სწავლების მეთოდები
- სწრაფი უკუკავშირი შესრულებულ დავალებებზე და ონლაისწავლების ოგანიზებულობა
- ყველა ლექტორი აქტიურად იყო ჩართული სწავლების რეჟიმზე. ვინც ვიდეო ზარს ვერ ახერხებდა პრეზენტაციის სახით და აუდიო ჩანაწერი სახით გვიგზავნიდა.
- ყველანაირად ხელს გვიწყობდნენ
- შეფასების ფორმები
- ჩემი აზრით ეს იყო სწავლების მეთოდი, ადამიანური დამოკიდებულება საქმისადმი და სტუდენტისადმი
- ძირითადად გამოვყოფდი სწავლების მეთოდისთვის, ვინაიდან, ყველანაირად ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ჩვენთვის, თუნდაც ჩაბარების თვალსაზრისით. ასევე, გამოვყოფდი მათ ადამიანურ დამოკიდებულებას ჩვენს მიმართ, იქიდან გამომდინარე, რომ მეგობრულად ყოფილიყვნენ ჩვენ მიმართ. მაღლობა მათ ამ ყველაფრისთვის.

## სტუდენტის კითხვარი


1. რამ განაპირობა თქვენი არჩევანი გესწავლათ ამ კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე?



2. პროგრამაში ჩართვამდე, რამდენად კარგად გქონდათ გაცნობიერებული/გაანალიზებული, რომ ეს პროფესია გაინტერესებდათ?




3 რამდენად გასაგებია თქვენთვის პროგრამის შინაარსი?




4. რამდენად საინტერესოა თქვენთვის საგანმანათლებლო პროგრამა?






5. მოგწონთ თუ არა თქვენი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩამოთვლილი თითოეული საგნის შეფასების სისტემა?



6. სასწავლო პროგრამა უფრო მეტ პრაქტიკულ კომპონენტს უნდა მოიცავდეს.



2020-2021 სასწავლო წელს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ირიცხება 836 სტუდენტი. უნივერსიტეტში ჩატარდა პრობლემების იდენტიფიკაციისა და საჭიროებების დადგენის გამოკითხვა. გამოკითხვა დაიწყო 5 აპრილს და გაგრძელდა 25 აპრილამდე. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 454მა სტუდენტმა, რაც წარმოადგენს სტუდენტთა საერთო რაოდენობის 55%-ს.

კითხვაზე

აქტიურად სარგებლობდით თუ არა სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემით (LMS-ით)?

- დიახ - 93%
- არა - 1%
- ფიზიკურად ვერ ვსარგებლობ ინტერნეტთან წვდომის უქონლობის გამო - 1%
- ვერ ვსარგებლობ კომპიუტერის უქონლობის გამო - 5%

კითხვაზე

სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა პანდემიის პირობებში რამდენად ხელმისაწვდომია?

- დიახ, არის ხელმისაწვდომი ყველა ძირითადი სახელმძღვანელო ელექტრონული ფორმით - 59%
- არა, ვერ მოგვეწოდება იქიდან გამომდინარე, რომ პანდემიის პირობებში ლიტერატურაზე წვდომა (წიგნის გატანა) ბიბლიოთეკაში აკრძალულია - 3%
- მეტ-ნაკლებად ვახერხებთ - 38%

კითხვაზე

ელექტრონული წიგნი უფრო ეფექტურია სწავლა-სწავლების მიზნით თუ ფიზიკურად, მატერიალური სახით მიწოდებული ლიტერატურა?

- ყველა შემთხვევაში მხოლოდ მატერიალური წიგნია სრულად ეფექტური - 17%
- გარკვეულ შემთხვევაში ელექტრონული წიგნიც მოხერხებულია - 20%
- არ მაქვს პასუხი - 2%
- ორივეს აქვს თავისი დადებითი მხარე - 44%
- ორივეს აქვს თავისი უარყოფითი მხარე - 17%

კითხვაზე

**რა აქვს დადებითი ელექტრონულ წიგნს?**

- არ ზიანდება - 19%
- არ არის სატარებლად მძიმე - 11%
- არ მეკისრება დაკარგვის, დაზიანების პასუხისმგებლობა - 25%
- არაფერი არ აქვს კარგი - 5%
- ელექტრონულ წიგნთან კონტაქტის დროს დაცული ვარ ვირუსის შესაძლო საფრთხისგან - 40%

კითხვაზე

**რა აქვს უარყოფითი ელექტრონულ სახელმძღვანელოს?**

- ელექტრონულად ჯანმრთელობის ზიანი მეტია -35%
- ხშირად ბევრი ელექტრონული სახელმძღვანელო გვერევა ერთმანეთში - 22%
- არ მაქვს პასუხი - 16%
- წიგნზე მუშაობის გამოცდილებას არ გვაძლევს - 21%
- სხვა - 6%

**დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები:**

- ვზოგავდი ფინანსებს.
- ათვისების პროცესი ელექტრონულ წიგნთან უფრო ხანგრძლივია და ამავდროულად დამღლელი.
- არ აქვს არაფერი უარყოფითი. ხანდახან ელექტრონული წიგნი უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე დაბეჭდილი.
- არაკომფორტულია, გვერდის მონიშვნის საშუალებას არ გაძლევს, ძნელია საჭირო გვერდზე დაბრუნება (კურსორი გარბის და იკარგება ხოლმე)
- არაფერი აქვს უარყოფითი, ძალიან კომფორტულია.
- დიდხანი მიწევს კომპიუტერთან ურთიერთობა რაც დიდ ზიანს მაყენებს ჯანმრთელობის მხრივ. მაგალითად, არ შემიძლია დიდი ხანი კითხვა რადგან თვალებს მტკენს და ძალიან დამღლელია.
- დიდხანს ვერ ვკითხულობ ელექტრონული წიგნიდან რადგან თვალებს მატკიებს.
- ელექტრონულ სწავლება თანამედროვე ტექნოლოგიებს მიმაჯაჭვებს და ეს მიჯაჭვულობა თვითგადარჩენის და რეალური ცხოვრების გაუმჯობესებისკენ მაფერხებს. ონლაინ სწავლების დრო მოწყვეტილი ვარ გარე სამყაროს რომელშიც ცხოვრება მიწევს.
- ელექტრონულ წიგნებზე მუშაობა ჯანმრთელობისთვის საზიანოა მაგრამ კორონას საფრთხეს თუ შევადარებთ, ისე ელექტრონული წიგნი ჯობია.

- ელექტრონულ წიგნს ვერ ვკითხულობ დიდი ხანი კომპიუტერის ეკრანი მატკიებს თალებს. ასევე არაკომფორტულია ჩემთვის ვინაიდან ვერ ვნიშნავ საჭირო გვერდებს და თავისით გადახტება ხოლმე 1-ლი გვერდიდან მე10 გვერდამდე რაც ზედმეტ დროს გვაკარგვინებს.
- ელექტრონული მასალა ფანტასტიური შესაძლებლობა პანდემიის პირობებში (არამხოლოდ, ეკოლოგიური თვალსაზრისითაც) მითუფრო კომპაქტურია, თუმცა დასკანერებული ვერსია არ არის კომფორტული, თუ გვერდების ნუმერაცია არ ჩანს ან ღია ფერის შრიფტია და დისკომფორტს ქმნის.
- ელექტრონული სახელმძღვანელო პირადად ჩემთვის ცუდია რადგან მაქვს თვალის პრობლემა და ვერ ვახერხებ დიდი ხნის განმავლობაში კითხვას რაც ძალიან დიდ დისკომფორტს მიქმნის და ხელს მიშლის სწავლაში.
- ელექტრონული სახელმძღვანელოთი მუშაობა არ არის მოსახერხებელი ვინაიდან ის მუშაობის პროცეს მეტად დაძაბულს ხდის, განსაკუთრებით თუ რაიმე სახის ტექნიკური ხარვეზია. ელექტრონულ სახელმძღვანელოს აქვს უფრო მეტი უარყოფითი მხარე ვიდრე დადებითი.
- ელექტრონული წიგნი თვალების პრობლემის მქონე სტუდენტებისთვის ძალიან მოუხერხებელია.
- ელექტრონული წიგნი ძალიან მოსახერხებელია, თან უფასოა და შეძენა არ გვიწევს.
- ელექტრონული წიგნის უარყოფითი მხარე ისაა რომ, საზიანოა მხედველობისათვის გამომდინარე იქიდან, რომ დღის განმავლობაში გიწევს დიდხანი დაძაბულ მდგომარეობაში მასალის სწავლა და შესაბამისად ეს ასევე იწვევს დაღლილობას. ხშირ შემთხვევაში ზოგიერთისათვის რთულია მასალის ასე დამუშავება.
- ვინაიდან ძირითადი დროის გატარება მიწევს კომპიუტერთან და ელექტრონულ წიგნებთან, მიზიანდება მხედველობა და თვალეები ადვილად მეღლება.
- ვისურვებდი უნივერსიტეტს ჰქონოდა ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკა, რომლიდანაც სტუდენტებს შეეძლებოდათ სახელმძღვანელოს ჩამოტვირთვა ნებისმიერ დროს.
- ვფიქრობ რომ ჯანმრთელობას ზიანს აყენებს. 24სთ გვიწევს კომპიუტერთან მუშაობა.
- ზოგჯერ ფორმატი არ არის მისაღები ტელეფონისთვის.
- კომპიუტერზე ზედმეტად გვხდის მიჯაჭვულს, რაც ძალიან დამღლეელია თვალებისთვის.
- კომპიუტერთან და სხვა ტექნიკურ საშუალებებთან ხშირი კომუნიკაცია, რაც უარყოფითი კავშირი აქვს ჯანმრთელობასთან.
- კომპიუტერთან მიწევს დიდი დროის გატარება, რაც მიზიანებს თვალებს.
- კომპიუტერის უქონლობის გამო ძალიან რთულია ელექტრონული წიგნის გამოყენება, მიწევს ტელეფონით წაკითხვა, რომელიც იმდენად რთულია, საჭირო ხანგრძლივობით ვერ ვახერხებ.

- მე მაგალითად ეხლა ამ შემთხვევაში დისტანციური სწავლა მირჩევნია
- მირჩევნია მატერიალური სახით გამოვიყენო წიგნი
- პანდემიის დროს არ მაქვს სურვილი ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნით ვიმუშავო რადგან მეშინია ვირუსის.
- საერთოდ ვერ ვიყენებ ელექტრონულ წიგნს, ვბეჭდავ და ისე ვმუშაობ, ამგრამ ეს ჩემი პრობლემაა.
- საკმარისად ვერ ითვისებ იმ მასალას, რომელიც ელექტრონული სახით არის მიწოდებული, თუმცა არაფერს ჯობია.
- სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის აღქმა რთულია
- ჩემთვის მოსახერხებელია ელექტრონული ვერსია, ნუ რას ვიზამთ პანდემის გამო ყველას უწევს ელექტრონული სახელმძღვანელოს გამოყენება. უკვე მივეჩვიე ელექტრონულ სახელმძღვანელოს და დისკომფორტს არ მიქმნის. ჯანმრთელობას გისურვებთ!
- ჩემი აზრით ხშირად ბევრი ელექტრონული სახელმძღვანელო გვერევა ერთმანეთში
- ჩვეულ რეჟიმში სწავლებას, რა თქმა უნდა ვერ შევადარებთ ონლაინ სწავლებას, თუმცა მასაც აქვს დადებითი მხარეები.
- ძალიან მიჭირს კომპიუტერთან მუშაობა.
- ძალიან რთული და გადამღლეელია ყველა საგანში ზღვა მასალის ელექტრონულად კითხვა და მომზადება.
- წიგნზე ფიზიკურად მუშაობა უფრო სასურველია ჩემთვის მხედველობის გაფრთხილების მიზნით, თუმცა წიგნების შემენაც საკმაო ხარჯებთანაა დაკავშირებული.
- წიგნიდან სწავლა ბევრად ადვილი,გასაგები და ნაკლებად საზიანოა ჯანმრთელობისთვის.
- ელექტრონულ წიგნს აქვს როგორც პლიუსები ასევე მინუსები
- ხშირად ელექტრონული წიგნის კითხვისას გვიბუჟდება თვალები და გვაწუხებს მოთენთილობა.
- ხშირი კითხვა რთულია ელექტრონულად
- ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

## კითხვაზე

**რამდენად ახერხებენ ლექტორები დისტანციური სწავლების პირობებში ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები გახადონ მიმზიდველი, ხელმისაწვდომი?**

- ძნელია დისტანციური სწავლების პირობებში ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების მიმზიდველობაზე საუბარი, თუმცა ლექტორები საკმაოდ ეფექტურად წარმართავენ სასწავლო პროცესს – 76%
- დისტანციური სწავლების პროცესი მხოლოდ ნაწილობრივ თუ მოახერხებს სწავლების ეფექტურად წარმართვას - 12%

- სასურველია უფრო სახალისო, ეფექტური და ინოვაციური მეთოდები გამოინახოს, თუნდაც ონლაინ სწავლების პირობებში - 9%
- დრო ნაკლები ეთმობა სწავლებას გამომდინარე ონლაინ ფორმატისა, რაც ვერ შექმნის სწავლების პროცესს ეფექტურს - 3%

კითხვაზე

**გამოცდის ჩაბარების რომელი ფორმაა უფრო ეფექტური დისტანციური სწავლების პირობებში?**

- პირისპის საგამოცდო ცენტრში გამოცდის ადგილზე ჩაბარება - 17%
- შერეული ტიპი საკმაოდ მოქნილი იყო - 27%
- ონლაინ ჩაბარებაც გვამღებდა საშუალებას ცოდნა გამოგვეხატა ისე, რომ არ დარღვეულიყო აკადემიური კეთილსინდისიერება - 55%
- სხვა - 1%

**დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები:**

- ონლაინ ტესტების საშუალებით
- დისტანციურად ჩაბარება ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როცა ზეპირი გამოკითხვა ხდება ლექტორსა და სტუდენტს შორის, აქ საუბარი მაქვს შუალედურ და დასკვნითი გამოცდის ფორმატზე.
- დისტანციური სწავლების პირობებში გამოცდის ჩაბარების ეფექტურ ფორმაზე საუბარი რთულია. ონლაინ ჩაბარება არაეფექტურია და მოუხერხებელიც კი . ვფიქრობ რომ შედარებით უკეთესი ვარიანტია წერილობით რადგან ამგვარად შეძენილ ცოდნას კიდევ უფრო ვამყარებთ .
- დისტანციური სწავლების პირობებში უფრო ეფექტურია ტესტირება (დანიშნული დროით)
- ვარ მობილობის სტუდენტი, ბიზნესის მესამე კურსზე, არ ვიცნობ თანაკურსელებს, შესაბამისად ვერ ვკონტაქტობ მათთან, ჩემთვის უპრიანი იქნება, რომ ყველა ლექტორი სახელმძღვანელოს, დავალებებს და სემინარების შესახებ იწერებოდეს ელემესზე და არ მჭირდებოდეს უცხო ადამიანების შეწუხება ამ თემაზე.
- ვერ ვიტყვი რომ დისტანციურად გამოცდების ჩაბარება ეფექტური იყო, ვინაიდან მე რომელიც ჩართული ვიყავი აქტიურად სასწავლო პროცესში და სხვა სტუდენტები რომლებიც ნაკლებად იყვნენ აქტიურები, გამოცდების პერიოდში ფაქტობრივად ზუსტად ისეთ შეფასებას იღებდნენ, როგორც მე, ამ შემთხვევაში ცოტა უსამართლობის შეგრძნება მიჩნდებოდა, აქედან გამომდინარე შემიძლია ვთქვა რომ დისტანციურად გამოცდების ჩაბარება არაა ეფექტური.
- ვერ ვახერხებ დისტანციურად სწავლას რადგან არ მაქვს ინტერნეტი და კომპიუტერი.

- ვფიქრობ რომ უკეთესი იქნება პირისპირ საგამოცდო ცენტრში გამოცდის ადგილზე ჩაბარება.
- ვფიქრობ საგამოცდო ცენტრში უკეთესია მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტისთვის რადგან მისთვის არ დაიღვევა აკადემიური კეთილსინდისიერება.
- ონლაინ
- ონლაინ თუმცა წერიტი სახით.
- ონლაინ მეთოდით მერჩივნა. ცოდნასთან ერთად არ ვიქნებოდი დამაბული ეპიდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, არ მექნება შიშის განცდა რაც იმოქმედებს გამოცდების ჩაბარებაზე.
- ონლაინ, წერილობით გამოცდა.
- ონლაინ,წერიტი გამოცდა
- რეალურ სივრცეში ჩატარებული გამოცდები მეტად უფრო ეფექტური და ნაყოფიანია
- ტესტირება უფრო მოსახერხებელია
- ჩემთვის კომპიუტერთან გამოცდის ჩაბარება ბევრად ეფექტური აღმოჩნდა,ვინაიდან საშუალება მომეცა ჩემი ცოდნა დამეფიქსირებინა სრულყოფილად და არ ვიყავი ფორმატში შესზღულული
- ჩემი აზრით პირისპირ საგამოცდო ადგილზე ჩაბარება კარგია თუმცა დღევანდელობაში ამ პანდემიის პერიოდში სხვა გზა არ გვაქვს.
- ჩემი აზრით, ამ ეტაპისთვის ჯობია ონლაინ რეჟიმში იყოს გამოცდები იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეებაა. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ დღესდღეოსობით რაც ხდება საქართველოში და უფრო ნაკლებია რისკი იმისა რომ, სტუდენტები და ლექტორები არ დაინფიცირდეს. მადლობა!
- წერიტი, რა თქმა უნდა.
- წერიტი ფორმატი.
- ჰიბრიდული სწავლის შედეგად გამოცდებიც შესაბამისად ჰიბრიდულად უნდა ჩატარდეს, რადგან საკმაოდ მოქნილი იყო ასეთი გამოცდები.

## კითხვაზე

### პანდემიის პირობებში LMS მომსახურება გახდა უფრო ეფექტური?

- ადრე უფრო ეფექტურად ვიღებდით ინფორმაციას შედეგების შესახებ - 6%
- ინფორმაციული ვაკუუმი უმეტესად იმდენად, რამდენდაც LMS-ით ბევრი აკადემიური პერსონალი ვერ ახერხებს სტუდენტისთვის ინფორმაციის მიწოდებას -13%
- პირიქით LMS-მა მოაწესრიგა შედეგების შესახებ ინფორმაციის დროულად მოწოდება სტუდენტისთვის - 80%
- მე არ მაქვს LMS-ით მუშაობის საშუალება - 1%



## კითხვაზე

### რა გააუმჯობესებდა თქვენი სწავლა-სწავლების პროცესს პანდემიის პირობებში?

- ლექციების ელექტრონული მასალის ატვირთვა, რომ მქონდეს საშუალება მოვისმინო ნებისმიერ დროს - 72%
- ყველა ლექტორმა ატვირთოს პრეზენტაციები კონკრეტული ლექციისთვის ცალ-ცალკე - 19%
- სხვა - 9%

### დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები:

- ლექტორებმა ჩართონ ვიდეო კამერა. ასევე, კარგი იქნება ლექტორმა საუბრის პარალელურად გამოიყენოს ვიზუალიზაციის მეთოდი ( ანუ ყველა სალექციო საათისთვის ჰქონდეს პრეზენტაცია, რომელსაც გაგვიზიარებს)
- ლექციების ატვირთვა ელექტრონულად
- ალბათ ერთი კაი ნოუტბუქი ????
- ალბათ ის რომ უფრო ხალისიანი და ამავდროულად საინტერესო პრეზენტაციები გვქონოდა.
- არ იყოს მხოლოდ ლექციები, მეტი პრაქტიკული დავალებები.
- არაფერი არ გაუმჯობესებულა. გული ამივარდა სწავლაზე რომელიც პროგრამულად არის საჭირო.
- არაფერი გარდა უნივერსიტეტში სიარულისა
- გამართულია პროცესი
- გაუმჯობესდა ის რომ ლექციების ნახვა შეგვიძლია ნებისმიერ დროს
- ელექტრონულად ატვირთული მასალები ხელს გვიწყობს სწავლის უკეთ წარმართვაში.
- ვერ ვიტყვი, რომ გაუმჯობესდა მითუმეტეს პანდემის დროს ალბათ უფრო კომფორტის ზონაში ვართ.
- ვთვლი რომ აუცილებელია მასალის ატვირთვა რადგან მქონდეს საშუალება მოვისმინო ნებისმიერ დროს.
- ის რაც ონლაინ სწავლებისთვისაა საჭირო. კომპიუტერული ტექნიკა
- კარგი იქნებოდა ჯიპა გასწორებულიყო
- კმაყოფილი ვარ
- ლექტორები, ყველანაირად გვიწყობენ ხელს, გვქონდეს ყველა პრეზენტაცია, რომელსაც ხსნიან.
- მე მაგალითად ეხლა ამ შემთხვევაში დისტანციური სწავლა მირჩევნია
- პრეზენტაციებით მიწოდება მასალისა
- როგორც ავლნიშნე, ჩემთვის ბევრად ეფექტური იქნება, ყველა სასწავლო მასალა და დავალება ატვირთულ იქნეს ლექტორების მიერ ელემენტურ და ამგვარად უფრო ეფექტურად შევძლო სწავლა და მუშაობა
- როგორც ლექციების ელექტრონული მასალების ატვირთვა, ასევე ყველა ლექტორმა ატვირთოს პრეზენტაციები კონკრეტული ლექციისთვის.

- სალექციო მასალას თან მოჰყვებოდეს შესაბამისი ლიტერატურა. ამასთანავე ყოველი სემინარის შემდეგ აისახოს ელემენტში შესაბამისი შეფასება, რადგან სტუდენტს ჰქონდეს საშუალება აკონტროლოს დისტანციურად მისი საბოლოო შედეგი.
- სამწუხაროდ საშინელებაა ის ფაქტი, რომ ლექტორების უმეტესობა არ იწერებიან ელემენტზე დავალებებს, ლექციებზე ჩასართავ ლინკებს და სასწავლო სახელმძღვანელოების კონსპექტებს, რითაც ჩვენთვის, როგორც სტუდენტებისთვის შრომა უფრო სტრესული ხდება.
- სემინარების გარდა დავალებების საშუალება რომ იყოს რადგან სემინარს ბევრი ვერ ახერხებს და დავალებები რომ იყოს და არ ჩამორჩეს სტუდენტი.
- ყველა ლექცია გვიტარდება და უნდა შევძლოთ პანდემიის დროულად დამლევა რომ მალე დავბრუნდეთ სასწავლებელში.
- ყველაფერი კარგია
- ჩაიწერონ ლექტორებმა ლექციები და ჩაუგდონ მოსწავლეებს, მათი ახსნილი მასალა ხმოვანი წერილის სახით.
- ჩემი აზრით, ჯობია ყველამ ატვირთოს ელექტრონული მასალა რათა ყველამ შეძლოს მოსმენა. ზოგიერთი ლექტორი ამას აკეთებს კიდევაც.
- ჩემი უკეთესი ხარისხის ინტერნეტი. ზოგჯერ ძალიან დაბალი ხარისხით მომეწოდება და მაფერხებს.
- ძალიან ბევრი ლექტორი პრაქტიკული მუშაობების, ქვიზების და სემინარების ქულას გვიწერს ემელემენტში მაგრამ მინდა რომ ყველამ ასე დაწეროს.
- ძალიან მომწონს ის რომ ელემენტზე დევს ყველაფერი რადგან შემძლია გავიმეორო

კითხვაზე

**რამდენად ეფექტურად გეხმარებათ კურატორის ინსტიტუტი, რომელიც ამოქმედდა პანდემიის პირობებში?**


- არ მსმენია არაფერი - 6%
- მხოლოდ მათი დახმარებით ვახერხებ ჩართვას სასწავლო პროცესში - 12%
- ადრეც უნდა ყოფილიყო - 6%
- ბევრს ვერაფერს ცვლიან - 3%
- პანდემიის პირობებში ძალიან მოაწესრიგეს კომუნიკაცია ფაკულტეტს, ლექტორებსა და სტუდენტებს შორის - 72%
- სხვა - 1%

**დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები:**

- ასრულებენ მოვალეობას.
- უფრო ადვილი გახდეს სასწავლო პროცესის მოწესრიგება.
- ამ პანდემიის დროში ელემესი ძალიან მოწესრიგებულია
- არ მსმენია არაფერი
- არ მყავს
- არც დამჭირვებია ჩარევა
- გვეხმარება რგორც შეუძლია
- ელექტრონული წიგნები უნდა იყოს ბიბლიოთეკაში უფრო მეტი, ვიდრე დღეს გვაქვს.
- ვერ ვგრძნობ კურატორის დახმარებას და ჩართულობას. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ძალებით ვაგვარებთ ამა თუ იმ პრობლემებს.
- თუმცა კურატორი მხოლოდ როდი აწესრიგებს ყველაფერს, საჭიროა ლექტორების მეტი კომუნიკაცია ელემესზე, ვინაიდან ვარ მობილობით და არ მაქვს ხელმისაწვდომობა სხვა სტუდენტებთან, ჩემთვის ბევრად უპრიანია კომუნიკაცია მქონდეს პირდაპირ ლექტორთან ელემესის პლატფორმის საშუალებით. თუ ეს გაუმჯობესდება მეც მარტივად შევძლებ მარტივად მოვაგვარო ჩემთვის დაკისრებული მოვალეობები
- იმედია პანდემია მალე მორჩება და ცხოვრების ძველ სტილს დავუბრუნდებით.
- კურატორების ინსტიტუტი ძალიან კარგი საშუალებაა მათთვის ვისაც განსხვავებული გრაფიკი ან პირობები სჭირდებათ ლექციებზე დასასწრებად.
- კურატორი აქტიურადაა ჩართული ჩვენი პრობლემების აღმოფხვრაზე
- კურატორი ყოველთვის მეხმარება
- კურატორი ძალიან მეხმარება, ყველა საკითხზე მას მივმართავ და ყოველთვის მზად არის დამეხმაროს.
- კურატორის დამხმარებით ვახერხებ ჩართვას
- მე პირადად მომწონს. გვატყობინებს ყველა საჭირო ინფორმაციას და გვეხმარება ამა თუ იმ საკითხების გადაჭრაში. გვამღებებს სასარგებლო რჩევებს.
- პანდემიის ჟამს ძალიან გვეხმარებიან
- როგორც კურატორი ასევე ნებისმიერი ლექტორი, დეკანატი და ა.შ. დიდად გვიწყობს ხელს ყველანაირად. სხვა შემთხვევაში სწავლის ნორმალურად გაგრძელება ძალიან გაგვიჭირდებოდა.
- ყველაფერი მომწონს
- კმაყოფილი ვარ კურატორით.
- ძალიან დიდი მადლობა ჩვენს კურატორს ქალბატონ ია სართანიას იმ გაწეული შრომისათვის, რომელსაც ყოველდღე არ იშურებს ჩვენთვის. მისი წყალობით ძალიან გვიადვილდება ყველა პრობლემის მოგვარება.
- ძალიან ეფექტურია და საჭირო ინფორმაციასაც გვაწოდებს.
- ძალიან მობილური კურატორი გვყავს.


1. სხვა დროს, როდესაც მორჩება ვირუსით გამოწვეული პანდემია, მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ რომ ონლაინ სწავლა-სწავლების მეთოდი უნდა დარჩას? (შეგიძლიათ გამოთქვათ თქვენი აზრი თავისუფლად ღია ბრაჟაში)

სულ: 202




2. რომ არ ყოფილიყო თვითიზოლაცია და საბანგებო მდგომარეობის პირობები, ამდენ დროს ონლაინ სწავლისთვის გამოიხატავდით? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი და გამოთქვათ თქვენი აზრი თავისუფლად ღია ბრაფში)

სულ: 200




3. ჩამოთვლილთაგან, როგორი თვალსაზრისითაა გამართლებული და დადებითი მოვლენა ონლაინ სწავლება? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი და ჩამოთვრეთ თქვენი აზრი თავისუფლად ღია ბრაფაში 3.1.)

სულ: 302



5. რა იყო ის, რაც თქვენ მიერ დასახელებულ ლეჟორებს განსაკუთრებით გამოარჩევდა ონლაინ სწავლებისას? (შეგიძლიათ შემოხატოთ რამდენიმე პასუხი და გამოთვალოთ თქვენი აზრი თავისუფლად დიაგრამაში 4.1.)

სულ: 334



2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ირიცხება პირველი სემესტრის 276 სტუდენტი. პირველკურსელთა გამოკითხვა დაიწყო 20 ოქტომბერს და დასრულდა 13 ნოემბერს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 155მა სტუდენტმა, რაც წარმოადგენს 56%-ს.

კითხვაზე

**კურსის დაწყებისთანავე თქვენთვის წარმოდგენილი იყო თუ არა შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსი?**

- იყო რამდენიმე კურსში წარმოდგენილი - 97%
- არა - 3%

ერთი სტუდენტი ასახელებს სამ საგანს: ქართული დრამატურგია; ქართულ ბიზანტიური ურთიერთობები; ქართული მწერლობა 19-საუკუნის მიჯნაზე;

მეორე სტუდენტი კი ასახელებს ინგლისურ ენათმეცნიერებას.

სტუდენტების უმეტესი ნაწილი კი ამბობს, რომ ყველა სასწავლო კურსში იყო წარმოდგენილი სილაბუსები.

რამდენიმემ კი დაწერა, რომ სასწავლო პროცესში თავიდან ვერ ჩაერთვნენ, მაგრამ ლექტორმა მათ გააცნო სილაბუსი მოგვიანებითაც.

სტუდენტები წერენ, რომ სილაბუსები სასწავლო პროცესის მართვის სისტემაშიც (LMS) ატვირთული იყო.

კითხვაზე

**გაქვთ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება?**

გადიდებული შრიფტი წასაკითხად - 10%

კომპიუტერთან ურთიერთობის დამატებით ტრენინგები - 5%

გამოცდაზე ჯდომის მაქსიმალური ხანგრძლივობა თქვენთვის ძნელად მისაღებია - 2 %

სხვა - 27%

არ მაქვს - 56%



ყველა, ვინც დააფიქსირა დამატებით თავისი მოსაზრება, ამბობს რომ არ აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება. ერთი სტუდენტი კი ამბობს, რომ სასურველია ყველა ლექციის აუდიო მასალა იდებოდეს LMS-ზე.

კითხვაზე

**რა არის ძირითადი შემაფერხებელი სწავლის პროცესში? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)**

კომპიუტერი არ მაქვს - 10%

ტელეფონით ძნელად ვუკავშირდები - 11%

ინტერნეტი არ მაქვს - 1%

ინტერნეტი შეფერხებით მაქვს - 22%

დასაქმებული ვარ - 8%

მყავს მცირეწლოვანი შვილი - 3%

სხვა - 45%

სტუდენტები დამატებით ასახელებენ შემდეგ პასუხებს:

- არ მაქვს wifi და ტელეფონის ინტერნეტით მიწევს ჩართვა.
- არ მაქვს არანაირი შეფერხება მაგრამ მინდა რომ უნივერსიტეტში ვიარო. მთავარია ვირუსი დავამარცხოთ მალე.
- არ მაქვს კომპიუტერი და ტელეფონით მიძნელდება დავალებების შესრულება, ასევე ელმსზე გამოგზავნილ ლექციებსა და სხვა სახის დავალებებს ვერ ვხსნი.
- არაფერი არ მაფერხებს. სასწავლო პროცესში ჩართული ვარ სრულად
- დასაქმება
- დისტანციურად სწავლა როგორც სკოლის ბავშვებს და ასევე რამდენიმე სტუდენტს ბევრად გვიჭირს, რადგან ზოგჯერ არის შემთხვევა როცა ინტერნეტს ხარვეზი აქვს.
- ზოგჯერ ელექტროენერჯის პრობლემა მაქვს
- ზუგდიდში არმაქვს საცხოვრებელი ადგილი და დისტანციური სწავლების პერიოდში მომიწევს აფხაზეთში ცხოვრება საიდანაც გამიჭირდება სწავლა
- კომპიუტერი არ მაქვს მაგრამ ტელეფონით ვერთვები
- ტექნიკური ხარვეზი

- შუქის ან ინტერნეტის არ ქონა
- ძირითადი მიზეზი კოვიდ-19 )))
- ძირითადი შეფერხება რაც შეიძლება ზოგჯერ შემექმნას ელექტროენერჯის ჩაქრობაა.
- ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა

#### 4. რამდენად ხართ ჩართული დისტანციური სწავლების პროცესში:

ნაწილობრივ - 32%

სრულიად ვარ ჩართული - 66%

საერთოდ არ ვარ ჩართული - 1%

სხვა - 1%

სტუდენტები აფიქსირებენ შემდეგ მოსაზრებებს:

- ვცდილობ ყოველთვის ჩავერთო
- დისტანციური სწავლების დროს სრულიად ვარ ჩართული
- თუ ვერ ვერთვები, დავალებებს ვაგზავნი და ასე ვცდილობ ჩავერთო
- სრულიად ვარ ჩართული ყველა ლექციაზე
- ხშირად ვერ ვახერხებ ჩართვას ონლაინ ლექციებზე
- ხშირად ინტერნეტის პრობლემა მაქვს და ვერ ვერთები

კითხვაზე


**შეგიძლიათ წარმოადგინოთ, თუ რა მოლოდინები გაქვთ ამ სემესტრის სასწავლო პროცესიდან?**

- დისტანციურად სწავლას კარგად შევძლებ - 62%
- დისტანციურად სწავლა ძალიან გამიჭირდება - 19%
- დისტანციურად სწავლას საერთოდ ვერ შევძლებ - 1%
- შევძლებ შერეული ტიპით (თვეში ერთხელ ან რამოდენიმეჯერ მოსვლით) - 13%
- სხვა - 5%

სტუდენტები აფიქსირებენ შემდეგ მოსაზრებებს:


- არ გამიჭირდება სასწავლო პროცესში ჩართვა რადგან თავს კარგად ვართმევე;
- არადისტანციური სწავლა ჯობია, მაგრამ რას ვიზამთ. უნდა შევძლოთ დისტანციურადაც სწავლა.
- დისტანციურ სწავლას კარგად შევძლებ.
- დისტანციურად განათლების მიღება არ არის საკმარისი, რადგან დრო მცირეა და ინტერნეტი ან ელექტრონული მოწყობილობა შიგადაშიგ შეფერხებით მუშაობს
- დისტანციურად სწავლას შევძლებ, თუმცა არც ისე კარგად, როგორ ეს პირისპირ კომუნიკაციის დროს იქნებოდა შესაძლებელი.
- დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, დისტანციურად სწავლებას თავი აუცილებლად უნდა გვართვა.
- ვეცდები მაქსიმალურად ჩავერთო ყველაფერში
- ლექციები სისტემატიურად ტარდება და ჩართული ვარ სასწავლო პროცესში
- მაქსიმუმს გავაკეთებთ ონლაინ სწავლებისას
- მე პირადად დისტანციურად სწავლას ვახერხებ, რაც შეეხება კოვიდ 19 -ს დღითი დღე იზრდება ინფიცირებულთა რიცხვი ამიტომ ჯობია ვიყოთ დისტანციურად და გავუფრთხილდეთ ჩვენს ჯანმრთელობას და ოჯახის წევრებს.მე არასწორად მიმაჩნია პრაქტიკულების ჩატარება უნივერსიტეტში რადგან ძალიან დიდია იმის რისკი რომ სტუდენტები დაინფიცირდნენ
- მინდა რომ მალე მოვიდე უნივერსიტეტში და სწავლა არადისტანციურად გავაგრძელო
- სამწუხაროა რომ პირველ კურსზე სწავლა დისტანციურად დავიწყეთ მაგრამ იმედია მალე უნივერსიტეტში ვივლით
- შევძლებ სწავლას, მაგრამ ზოგჯერ მიჭირს ჩართვა
- შერეული ტიპი კარგია მაგრამ ონლაინ სწავლა მაინც დისკომფორტია ზოგჯერ ლექტორებს /მოსწავლეებს არ აქვთ კარგი ინტერნეტი რაც აფერხებს მათ ჩართულობას
- ცოტა გამიჭირდება ასე სწავლა მაგრამ უნდა ვცადოთ მაქსიმალურად






## 2. ბავშვთ თუ არა სპეციფიკური საბანზანოთლებლო საჭიროება?

სულ: 156




3. ძირითადი შემაჯარხებელი სწავლის პროცესში (შეზღვეულია მონიშნულ რაოდენობე კასუსი და თუ უთითებთ სხვას, დააკონკრეტეთ 3.1.-ში კითხვარის ბოლოს)

სულ: 195



#### 4. რამდენად ხართ ჩართული დისტანციური სწავლების პროცესში?


სულ: 155





5. შიგნით ნარგობდგინოთ, თუ რა მოლოდინები გავთ ამ სემესტრის სასწავლო პროცესიდან

სულ: 155



2020-2021 სასწავლო წელს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ირიცხება 836 სტუდენტი. უნივერსიტეტში ჩატარდა პრობლემების იდენტიფიკაციისა და საჭიროებების დადგენის გამოკითხვა. გამოკითხვა დაიწყო 5 აპრილს და გაგრძელდა 25 აპრილამდე. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 454მა სტუდენტმა, რაც წარმოადგენს სტუდენტთა საერთო რაოდენობის 55%-ს.

კითხვაზე

აქტიურად სარგებლობდით თუ არა სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემით (LMS-ით)?

- დიახ - 93%
- არა - 1%
- ფიზიკურად ვერ ვსარგებლობ ინტერნეტთან წვდომის უქონლობის გამო - 1%
- ვერ ვსარგებლობ კომპიუტერის უქონლობის გამო - 5%

კითხვაზე

სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა პანდემიის პირობებში რამდენად ხელმისაწვდომია?

- დიახ, არის ხელმისაწვდომი ყველა ძირითადი სახელმძღვანელო ელექტრონული ფორმით - 59%
- არა, ვერ მოგვეწოდება იქიდან გამომდინარე, რომ პანდემიის პირობებში ლიტერატურაზე წვდომა (წიგნის გატანა) ბიბლიოთეკაში აკრძალულია - 3%
- მეტ-ნაკლებად ვახერხებთ - 38%

კითხვაზე

ელექტრონული წიგნი უფრო ეფექტურია სწავლა-სწავლების მიზნით თუ ფიზიკურად, მატერიალური სახით მიწოდებული ლიტერატურა?

- ყველა შემთხვევაში მხოლოდ მატერიალური წიგნია სრულად ეფექტური - 17%
- გარკვეულ შემთხვევაში ელექტრონული წიგნიც მოხერხებულია - 20%
- არ მაქვს პასუხი - 2%
- ორივეს აქვს თავისი დადებითი მხარე - 44%
- ორივეს აქვს თავისი უარყოფითი მხარე - 17%

კითხვაზე

**რა აქვს დადებითი ელექტრონულ წიგნს?**

- არ ზიანდება - 19%
- არ არის სატარებლად მძიმე - 11%
- არ მეკისრება დაკარგვის, დაზიანების პასუხისმგებლობა - 25%
- არაფერი არ აქვს კარგი - 5%
- ელექტრონულ წიგნთან კონტაქტის დროს დაცული ვარ ვირუსის შესაძლო საფრთხისგან - 40%

კითხვაზე

**რა აქვს უარყოფითი ელექტრონულ სახელმძღვანელოს?**

- ელექტრონულად ჯანმრთელობის ზიანი მეტია -35%
- ხშირად ბევრი ელექტრონული სახელმძღვანელო გვერევა ერთმანეთში - 22%
- არ მაქვს პასუხი - 16%
- წიგნზე მუშაობის გამოცდილებას არ გვაძლევს - 21%
- სხვა - 6%

**დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები:**

- ვზოგავდი ფინანსებს.
- ათვისების პროცესი ელექტრონულ წიგნთან უფრო ხანგრძლივია და ამავდროულად დამღლელი.
- არ აქვს არაფერი უარყოფითი. ხანდახან ელექტრონული წიგნი უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე დაბეჭდილი.
- არაკომფორტულია, გვერდის მონიშვნის საშუალებას არ გაძლევს, ძნელია საჭირო გვერდზე დაბრუნება (კურსორი გარბის და იკარგება ხოლმე)
- არაფერი აქვს უარყოფითი, ძალიან კომფორტულია.
- დიდხანი მიწევს კომპიუტერთან ურთიერთობა რაც დიდ ზიანს მაყენებს ჯანმრთელობის მხრივ. მაგალითად, არ შემიძლია დიდი ხანი კითხვა რადგან თვალებს მტკენს და ძალიან დამღლელია.
- დიდხანს ვერ ვკითხულობ ელექტრონული წიგნიდან რადგან თვალებს მატკიებს.
- ელექტრონულ სწავლება თანამედროვე ტექნოლოგიებს მიმაჯაჭვებს და ეს მიჯაჭვულობა თვითგადარჩენის და რეალური ცხოვრების გაუმჯობესებისკენ მაფერხებს. ონლაინ სწავლების დრო მოწყვეტილი ვარ გარე სამყაროს რომელშიც ცხოვრება მიწევს.
- ელექტრონულ წიგნებზე მუშაობა ჯანმრთელობისთვის საზიანოა მაგრამ კორონას საფრთხეს თუ შევადარებთ, ისე ელექტრონული წიგნი ჯობია.

- ელექტრონულ წიგნს ვერ ვკითხულობ დიდი ხანი კომპიუტერის ეკრანი მატკიებს თალებს. ასევე არაკომფორტულია ჩემთვის ვინაიდან ვერ ვნიშნავ საჭირო გვერდებს და თავისით გადახტება ხოლმე 1-ლი გვერდიდან მე10 გვერდამდე რაც ზედმეტ დროს გვაკარგვინებს.
- ელექტრონული მასალა ფანტასტიური შესაძლებლობა პანდემიის პირობებში (არამხოლოდ, ეკოლოგიური თვალსაზრისითაც) მითუფრო კომპაქტურია, თუმცა დასკანერებული ვერსია არ არის კომფორტული, თუ გვერდების ნუმერაცია არ ჩანს ან ღია ფერის შრიფტია და დისკომფორტს ქმნის.
- ელექტრონული სახელმძღვანელო პირადად ჩემთვის ცუდია რადგან მაქვს თვალის პრობლემა და ვერ ვახერხებ დიდი ხნის განმავლობაში კითხვას რაც ძალიან დიდ დისკომფორტს მიქმნის და ხელს მიშლის სწავლაში.
- ელექტრონული სახელმძღვანელოთი მუშაობა არ არის მოსახერხებელი ვინაიდან ის მუშაობის პროცეს მეტად დაძაბულს ხდის, განსაკუთრებით თუ რაიმე სახის ტექნიკური ხარვეზია. ელექტრონულ სახელმძღვანელოს აქვს უფრო მეტი უარყოფითი მხარე ვიდრე დადებითი.
- ელექტრონული წიგნი თვალების პრობლემის მქონე სტუდენტებისთვის ძალიან მოუხერხებელია.
- ელექტრონული წიგნი ძალიან მოსახერხებელია, თან უფასოა და შეძენა არ გვიწევს.
- ელექტრონული წიგნის უარყოფითი მხარე ისაა რომ, საზიანოა მხედველობისათვის გამომდინარე იქიდან, რომ დღის განმავლობაში გიწევს დიდხანი დაძაბულ მდგომარეობაში მასალის სწავლა და შესაბამისად ეს ასევე იწვევს დაღლილობას. ხშირ შემთხვევაში ზოგიერთისათვის რთულია მასალის ასე დამუშავება.
- ვინაიდან ძირითადი დროის გატარება მიწევს კომპიუტერთან და ელექტრონულ წიგნებთან, მიზიანდება მხედველობა და თვალეები ადვილად მეღლება.
- ვისურვებდი უნივერსიტეტს ჰქონოდა ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკა, რომლიდანაც სტუდენტებს შეეძლებოდათ სახელმძღვანელოს ჩამოტვირთვა ნებისმიერ დროს.
- ვფიქრობ რომ ჯანმრთელობას ზიანს აყენებს. 24სთ გვიწევს კომპიუტერთან მუშაობა.
- ზოგჯერ ფორმატი არ არის მისაღები ტელეფონისთვის.
- კომპიუტერზე ზედმეტად გვხდის მიჯაჭვულს, რაც ძალიან დამღლეელია თვალისთვის.
- კომპიუტერთან და სხვა ტექნიკურ საშუალებებთან ხშირი კომუნიკაცია, რაც უარყოფითი კავშირი აქვს ჯანმრთელობასთან.
- კომპიუტერთან მიწევს დიდი დროის გატარება, რაც მიზიანებს თვალებს.
- კომპიუტერის უქონლობის გამო ძალიან რთულია ელექტრონული წიგნის გამოყენება, მიწევს ტელეფონით წაკითხვა, რომელიც იმდენად რთულია, საჭირო ხანგრძლივობით ვერ ვახერხებ.

- მე მაგალითად ეხლა ამ შემთხვევაში დისტანციური სწავლა მირჩევნია
- მირჩევნია მატერიალური სახით გამოვიყენო წიგნი
- პანდემიის დროს არ მაქვს სურვილი ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნით ვიმუშავო რადგან მეშინია ვირუსის.
- საერთოდ ვერ ვიყენებ ელექტრონულ წიგნს, ვბეჭდავ და ისე ვმუშაობ, ამგრამ ეს ჩემი პრობლემაა.
- საკმარისად ვერ ითვისებ იმ მასალას, რომელიც ელექტრონული სახით არის მიწოდებული, თუმცა არაფერს ჯობია.
- სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის აღქმა რთულია
- ჩემთვის მოსახერხებელია ელექტრონული ვერსია, ნუ რას ვიზამთ პანდემის გამო ყველას უწევს ელექტრონული სახელმძღვანელოს გამოყენება. უკვე მივეჩვიე ელექტრონულ სახელმძღვანელოს და დისკომფორტს არ მიქმნის. ჯანმრთელობას გისურვებთ!
- ჩემი აზრით ხშირად ბევრი ელექტრონული სახელმძღვანელო გვერევა ერთმანეთში
- ჩვეულ რეჟიმში სწავლებას, რა თქმა უნდა ვერ შევადარებთ ონლაინ სწავლებას, თუმცა მასაც აქვს დადებითი მხარეები.
- ძალიან მიჭირს კომპიუტერთან მუშაობა.
- ძალიან რთული და გადამღლეელია ყველა საგანში ზღვა მასალის ელექტრონულად კითხვა და მომზადება.
- წიგნზე ფიზიკურად მუშაობა უფრო სასურველია ჩემთვის მხედველობის გაფრთხილების მიზნით, თუმცა წიგნების შეძენაც საკმაო ხარჯებთანაა დაკავშირებული.
- წიგნიდან სწავლა ბევრად ადვილი,გასაგები და ნაკლებად საზიანოა ჯანმრთელობისთვის.
- ელექტრონულ წიგნს აქვს როგორც პლიუსები ასევე მინუსები
- ხშირად ელექტრონული წიგნის კითხვისას გვიბუჟდება თვალები და გვაწუხებს მოთენთილობა.
- ხშირი კითხვა რთულია ელექტრონულად
- ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

## კითხვაზე

**რამდენად ახერხებენ ლექტორები დისტანციური სწავლების პირობებში ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები გახადონ მიმზიდველი, ხელმისაწვდომი?**

- ძნელია დისტანციური სწავლების პირობებში ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების მიმზიდველობაზე საუბარი, თუმცა ლექტორები საკმაოდ ეფექტურად წარმართავენ სასწავლო პროცესს – 76%
- დისტანციური სწავლების პროცესი მხოლოდ ნაწილობრივ თუ მოახერხებს სწავლების ეფექტურად წარმართვას - 12%

- სასურველია უფრო სახალისო, ეფექტური და ინოვაციური მეთოდები გამოინახოს, თუნდაც ონლაინ სწავლების პირობებში - 9%
- დრო ნაკლები ეთმობა სწავლებას გამომდინარე ონლაინ ფორმატისა, რაც ვერ შექმნის სწავლების პროცესს ეფექტურს - 3%

კითხვაზე

**გამოცდის ჩაბარების რომელი ფორმაა უფრო ეფექტური დისტანციური სწავლების პირობებში?**

- პირისპის საგამოცდო ცენტრში გამოცდის ადგილზე ჩაბარება - 17%
- შერეული ტიპი საკმაოდ მოქნილი იყო - 27%
- ონლაინ ჩაბარებაც გვამღებდა საშუალებას ცოდნა გამოგვეხატა ისე, რომ არ დარღვეულიყო აკადემიური კეთილსინდისიერება - 55%
- სხვა - 1%

**დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები:**

- ონლაინ ტესტების საშუალებით
- დისტანციურად ჩაბარება ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როცა ზეპირი გამოკითხვა ხდება ლექტორსა და სტუდენტს შორის, აქ საუბარი მაქვს შუალედურ და დასკვნითი გამოცდის ფორმატზე.
- დისტანციური სწავლების პირობებში გამოცდის ჩაბარების ეფექტურ ფორმაზე საუბარი რთულია. ონლაინ ჩაბარება არაეფექტურია და მოუხერხებელიც კი . ვფიქრობ რომ შედარებით უკეთესი ვარიანტია წერილობით რადგან ამგვარად შეძენილ ცოდნას კიდევ უფრო ვამყარებთ .
- დისტანციური სწავლების პირობებში უფრო ეფექტურია ტესტირება (დანიშნული დროით)
- ვარ მობილობის სტუდენტი, ბიზნესის მესამე კურსზე, არ ვიცნობ თანაკურსელებს, შესაბამისად ვერ ვკონტაქტობ მათთან, ჩემთვის უპრიანი იქნება, რომ ყველა ლექტორი სახელმძღვანელოს, დავალებებს და სემინარების შესახებ იწერებოდეს ელემესზე და არ მჭირდებოდეს უცხო ადამიანების შეწუხება ამ თემაზე.
- ვერ ვიტყვი რომ დისტანციურად გამოცდების ჩაბარება ეფექტური იყო, ვინაიდან მე რომელიც ჩართული ვიყავი აქტიურად სასწავლო პროცესში და სხვა სტუდენტები რომლებიც ნაკლებად იყვნენ აქტიურები, გამოცდების პერიოდში ფაქტობრივად ზუსტად ისეთ შეფასებას იღებდნენ, როგორც მე, ამ შემთხვევაში ცოტა უსამართლობის შეგრძნება მიჩნდებოდა, აქედან გამომდინარე შემიძლია ვთქვა რომ დისტანციურად გამოცდების ჩაბარება არაა ეფექტური.
- ვერ ვახერხებ დისტანციურად სწავლას რადგან არ მაქვს ინტერნეტი და კომპიუტერი.

- ვფიქრობ რომ უკეთესი იქნება პირისპირ საგამოცდო ცენტრში გამოცდის ადგილზე ჩაბარება.
- ვფიქრობ საგამოცდო ცენტრში უკეთესია მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტისთვის რადგან მისთვის არ დაიღვევა აკადემიური კეთილსინდისიერება.
- ონლაინ
- ონლაინ თუმცა წერიტი სახით.
- ონლაინ მეთოდით მერჩივნა. ცოდნასთან ერთად არ ვიქნებოდი დამაბული ეპიდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, არ მექნება შიშის განცდა რაც იმოქმედებს გამოცდების ჩაბარებაზე.
- ონლაინ, წერილობით გამოცდა.
- ონლაინ,წერიტი გამოცდა
- რეალურ სივრცეში ჩატარებული გამოცდები მეტად უფრო ეფექტური და ნაყოფიანია
- ტესტირება უფრო მოსახერხებელია
- ჩემთვის კომპიუტერთან გამოცდის ჩაბარება ბევრად ეფექტური აღმოჩნდა,ვინაიდან საშუალება მომეცა ჩემი ცოდნა დამეფიქსირებინა სრულყოფილად და არ ვიყავი ფორმატში შესზღულული
- ჩემი აზრით პირისპირ საგამოცდო ადგილზე ჩაბარება კარგია თუმცა დღევანდელობაში ამ პანდემიის პერიოდში სხვა გზა არ გვაქვს.
- ჩემი აზრით, ამ ეტაპისთვის ჯობია ონლაინ რეჟიმში იყოს გამოცდები იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეებაა. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ დღესდღეოსობით რაც ხდება საქართველოში და უფრო ნაკლებია რისკი იმისა რომ, სტუდენტები და ლექტორები არ დაინფიცირდეს. მადლობა!
- წერიტი, რა თქმა უნდა.
- წერიტი ფორმატი.
- ჰიბრიდული სწავლის შედეგად გამოცდებიც შესაბამისად ჰიბრიდულად უნდა ჩატარდეს, რადგან საკმაოდ მოქნილი იყო ასეთი გამოცდები.

## კითხვაზე

### პანდემიის პირობებში LMS მომსახურება გახდა უფრო ეფექტური?

- ადრე უფრო ეფექტურად ვიღებდით ინფორმაციას შედეგების შესახებ - 6%
- ინფორმაციული ვაკუუმი უმეტესად იმდენად, რამდენდაც LMS-ით ბევრი აკადემიური პერსონალი ვერ ახერხებს სტუდენტისთვის ინფორმაციის მიწოდებას -13%
- პირიქით LMS-მა მოაწესრიგა შედეგების შესახებ ინფორმაციის დროულად მოწოდება სტუდენტისთვის - 80%
- მე არ მაქვს LMS-ით მუშაობის საშუალება - 1%

## კითხვაზე

### რა გააუმჯობესებდა თქვენი სწავლა-სწავლების პროცესს პანდემიის პირობებში?

- ლექციების ელექტრონული მასალის ატვირთვა, რომ მქონდეს საშუალება მოვისმინო ნებისმიერ დროს - 72%
- ყველა ლექტორმა ატვირთოს პრეზენტაციები კონკრეტული ლექციისთვის ცალ-ცალკე - 19%
- სხვა - 9%

### დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები:

- ლექტორებმა ჩართონ ვიდეო კამერა. ასევე, კარგი იქნება ლექტორმა საუბრის პარალელურად გამოიყენოს ვიზუალიზაციის მეთოდი ( ანუ ყველა სალექციო საათისთვის ჰქონდეს პრეზენტაცია, რომელსაც გაგვიზიარებს)
- ლექციების ატვირთვა ელექტრონულად
- ალბათ ერთი კაი ნოუტბუქი ????
- ალბათ ის რომ უფრო ხალისიანი და ამავდროულად საინტერესო პრეზენტაციები გვქონოდა.
- არ იყოს მხოლოდ ლექციები, მეტი პრაქტიკული დავალებები.
- არაფერი არ გაუმჯობესებულა. გული ამივარდა სწავლაზე რომელიც პროგრამულად არის საჭირო.
- არაფერი გარდა უნივერსიტეტში სიარულისა
- გამართულია პროცესი
- გაუმჯობესდა ის რომ ლექციების ნახვა შეგვიძლია ნებისმიერ დროს
- ელექტრონულად ატვირთული მასალები ხელს გვიწყობს სწავლის უკეთ წარმართვაში.
- ვერ ვიტყვი, რომ გაუმჯობესდა მითუმეტეს პანდემის დროს ალბათ უფრო კომფორტის ზონაში ვართ.
- ვთვლი რომ აუცილებელია მასალის ატვირთვა რადგან მქონდეს საშუალება მოვისმინო ნებისმიერ დროს.
- ის რაც ონლაინ სწავლებისთვისაა საჭირო. კომპიუტერული ტექნიკა
- კარგი იქნებოდა ჯიპა გასწორებულიყო
- კმაყოფილი ვარ
- ლექტორები, ყველანაირად გვიწყობენ ხელს, გვქონდეს ყველა პრეზენტაცია, რომელსაც ხსნიან.
- მე მაგალითად ეხლა ამ შემთხვევაში დისტანციური სწავლა მირჩევნია
- პრეზენტაციებით მიწოდება მასალისა
- როგორც ავლნიშნე, ჩემთვის ბევრად ეფექტური იქნება, ყველა სასწავლო მასალა და დავალება ატვირთულ იქნეს ლექტორების მიერ ელემენტურ და ამგვარად უფრო ეფექტურად შევძლო სწავლა და მუშაობა
- როგორც ლექციების ელექტრონული მასალების ატვირთვა, ასევე ყველა ლექტორმა ატვირთოს პრეზენტაციები კონკრეტული ლექციისთვის.



- სალექციო მასალას თან მოჰყვებოდეს შესაბამისი ლიტერატურა. ამასთანავე ყოველი სემინარის შემდეგ აისახოს ელემენტში შესაბამისი შეფასება, რადგან სტუდენტს ჰქონდეს საშუალება აკონტროლოს დისტანციურად მისი საბოლოო შედეგი.
- სამწუხაროდ საშინელებაა ის ფაქტი, რომ ლექტორების უმეტესობა არ იწერებიან ელემენტზე დავალებებს, ლექციებზე ჩასართავ ლინკებს და სასწავლო სახელმძღვანელოების კონსპექტებს, რითაც ჩვენთვის, როგორც სტუდენტებისთვის შრომა უფრო სტრესული ხდება.
- სემინარების გარდა დავალებების საშუალება რომ იყოს რადგან სემინარს ბევრი ვერ ახერხებს და დავალებები რომ იყოს და არ ჩამორჩეს სტუდენტი.
- ყველა ლექცია გვიტარდება და უნდა შევძლოთ პანდემიის დროულად დამლევა რომ მალე დავბრუნდეთ სასწავლებელში.
- ყველაფერი კარგია
- ჩაიწერონ ლექტორებმა ლექციები და ჩაუგდონ მოსწავლეებს, მათი ახსნილი მასალა ხმოვანი წერილის სახით.
- ჩემი აზრით, ჯობია ყველამ ატვირთოს ელექტრონული მასალა რათა ყველამ შეძლოს მოსმენა. ზოგიერთი ლექტორი ამას აკეთებს კიდევაც.
- ჩემი უკეთესი ხარისხის ინტერნეტი. ზოგჯერ ძალიან დაბალი ხარისხით მომეწოდება და მაფერხებს.
- ძალიან ბევრი ლექტორი პრაქტიკული მუშაობების, ქვიზების და სემინარების ქულას გვიწერს ემელემენტში მაგრამ მინდა რომ ყველამ ასე დაწეროს.
- ძალიან მომწონს ის რომ ელემენტზე დევს ყველაფერი რადგან შემძლია გავიმეორო

კითხვაზე

**რამდენად ეფექტურად გეხმარებათ კურატორის ინსტიტუტი, რომელიც ამოქმედდა პანდემიის პირობებში?**


- არ მსმენია არაფერი - 6%
- მხოლოდ მათი დახმარებით ვახერხებ ჩართვას სასწავლო პროცესში - 12%
- ადრეც უნდა ყოფილიყო - 6%
- ბევრს ვერაფერს ცვლიან - 3%
- პანდემიის პირობებში ძალიან მოაწესრიგეს კომუნიკაცია ფაკულტეტს, ლექტორებსა და სტუდენტებს შორის - 72%
- სხვა - 1%

**დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები:**

- ასრულებენ მოვალეობას.
- უფრო ადვილი გახდეს სასწავლო პროცესის მოწესრიგება.
- ამ პანდემიის დროში ელემესი ძალიან მოწესრიგებულია
- არ მსმენია არაფერი
- არ მყავს
- არც დამჭირვებია ჩარევა
- გვეხმარება რგორც შეუძლია
- ელექტრონული წიგნები უნდა იყოს ბიბლიოთეკაში უფრო მეტი, ვიდრე დღეს გვაქვს.
- ვერ ვგრძნობ კურატორის დახმარებას და ჩართულობას. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ძალებით ვაგვარებთ ამა თუ იმ პრობლემებს.
- თუმცა კურატორი მხოლოდ როდი აწესრიგებს ყველაფერს, საჭიროა ლექტორების მეტი კომუნიკაცია ელემესზე, ვინაიდან ვარ მობილობით და არ მაქვს ხელმისაწვდომობა სხვა სტუდენტებთან, ჩემთვის ბევრად უპრიანია კომუნიკაცია მქონდეს პირდაპირ ლექტორთან ელემესის პლატფორმის საშუალებით. თუ ეს გაუმჯობესდება მეც მარტივად შევძლებ მარტივად მოვაგვარო ჩემთვის დაკისრებული მოვალეობები
- იმედია პანდემია მალე მორჩება და ცხოვრების ძველ სტილს დავუბრუნდებით.
- კურატორების ინსტიტუტი ძალიან კარგი საშუალებაა მათთვის ვისაც განსხვავებული გრაფიკი ან პირობები სჭირდებათ ლექციებზე დასასწრებად.
- კურატორი აქტიურადაა ჩართული ჩვენი პრობლემების აღმოფხვრაზე
- კურატორი ყოველთვის მეხმარება
- კურატორი ძალიან მეხმარება, ყველა საკითხზე მას მივმართავ და ყოველთვის მზად არის დამეხმაროს.
- კურატორის დამხმარებით ვახერხებ ჩართვას
- მე პირადად მომწონს. გვატყობინებს ყველა საჭირო ინფორმაციას და გვეხმარება ამა თუ იმ საკითხების გადაჭრაში. გვამღებებს სასარგებლო რჩევებს.
- პანდემიის ჟამს ძალიან გვეხმარებიან
- როგორც კურატორი ასევე ნებისმიერი ლექტორი, დეკანატი და ა.შ. დიდად გვიწყობს ხელს ყველანაირად. სხვა შემთხვევაში სწავლის ნორმალურად გაგრძელება ძალიან გაგვიჭირდებოდა.
- ყველაფერი მომწონს
- კმაყოფილი ვარ კურატორით.
- ძალიან დიდი მადლობა ჩვენს კურატორს ქალბატონ ია სართანიას იმ გაწეული შრომისათვის, რომელსაც ყოველდღე არ იშურებს ჩვენთვის. მისი წყალობით ძალიან გვიადვილდება ყველა პრობლემის მოგვარება.
- ძალიან ეფექტურია და საჭირო ინფორმაციასაც გვაწოდებს.
- ძალიან მობილური კურატორი გვყავს.


1. აქტიურად სარგებლობდით თუ არა სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემით (LMS-ით)?

სულ: 454




2. სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა კანდიდის პირობებში რამდენად ხელმისაწვდომია?

სულ: 454



3. ელექტრონული წიგნი უფრო ეფექტურია სწავლა-სწავლების მიზნით თუ ფიზიკურად, მატერიალური სახით მიწოდებული ლიტერატურა?

სულ: 591




ფველა შემთხვევაში მხოლოდ მატერიალური წიგნია სრულად ეფექტური.

ორივეს აქვს თავისი უარყოფითი მხარე.


4. რა აქვს დადებითი ელემენტორულ ნიშნს?

სულ: 600




5. რა აქვს უარყოფითი ელემენტრონულ სახელმძღვანელოს?

სულ: 506



6. რაოდენად ახერხებენ ლექტორები დისტანციური სწავლების პირობებში ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები გახადონ მიზნობრივი, ხელმისაწვდომი?

სულ: 454




სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების მიზნობრივობაზე საუბარი, თუმცა ლექტორები საკმაოდ ეფექტურად მუშაობენ სწავლისთვის, რაც ვერ შეე




7. ბაზოცდის ჩაბარების რობელი ფორბა უფრო ეფეეფური დისტანსიური სნავლების პირობებში?

სულ: 454




8. განდებით კირობაში LMS მომსახურება გახდა უფრო ეფექტური?

სულ: 454



9. რა ბაუზობები ხდება თქვენი სწავლა-სწავლების პროცესს პანდემიის პირობებში?

სულ: 454




ლექციების ელექტრონული მასალის ატვირთვა, რომ მქონდეს საშუალება მოვისმინო ნებისმიერ დროს

სხვა (დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრება 9.1 გრაფაში)

10. რაშდენად ეფეთჟურად ბეხმარებათ კურატორის ინსტიტუტი, როგლის ამოქმედდა პანდემიის პირობებში?

სულ: 454



გამოკითხვა ჩატარდა 2020 წლის 29 ივნისიდან 29 ივლისის ჩათვლით. მონაწილეობა მიიღო სტუდენტების 59%-მა.

**სხვა დროს, როდესაც მორჩება ვირუსით გამოწვეული პანდემია, მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ რომ ონლაინ სწავლა-სწავლების მეთოდი უნდა დარჩეს?**

- დიახ - **46 (23%)**
- არა - **72 (35%)**
- შერეული ტიპით პირისპირ სწავლების პარალელურად გარკვეულ დროს საჭიროა - **77 (38%)**
- არ მაქვს პასუხი - **1 (0.5%)**
- სხვა - **6 (3%)**

დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები

- არ უნდა იყოს, ვინაიდან ზოგს საერთოდ არა აქვს წვდომა ინტერნეტთან,
- ასეთი სწავლება ნამდვილად არ არის ისეთი ხარისხიანი...
- დიახ, რადგან არის შემთხვევები როცა რეგიონებიდან ვერ ვახერხებთ ბავშვები უნივერსიტეტში მისვლას და ეგ კარგი საშუალება იქნება ჩვენთვის როცა შევძლებთ სახლიდან ონლაინ სწავლას ან თუნდაც დავალების ატვირთვას
- დროდადრო საჭიროა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მოწვეული ლექტორები ატარებენ და შეიძლება ზოგჯერ ვერ მოახერხონ ჩამოსვლა დიდი მანძილის გამო.
- დღევანდელი რიალობის გათვალისწინებით მე პირადად მივესალმები ონლაინ ლექციებს...
- ეს ფრო მოსახერხებელია, ვინაიდან სტუდენტთა გარკვეული ნაწილი დასაქმებული. ამავდროულად იზოგება მგზავრობის ხარჯები
- ვირუსით გამოწვეული პანდემიის დასრულების შემთხვევაში, ონლაინ სწავლების გაგრძელების საჭირობას ვერ ვხედავ, რადგან უნივერსიტეტში ახსნილი ლექცია - სემინარები უფრო ეფექტური და შედეგიანია, მაღლობა პანდემიის დროს გაწეული სამსახურისთვის
- კი კარგია რომ გაგრძელდეს, ვინაიდან ზოგიერთს გაგვაჩნია ისეთ პრობლემა რომლის გამოც ვერ ვახერხებთ სიარულს მიუხედავად დიდი სურვილისა. თუნდაც აფხაზეთის საზღვრის გადმოლახვა
- მიმაჩნია საჭიროდ ონლაინ სწავლება
- ონლაინ სწავლება არ იძლევა ისეთ შედეგს როგორც ლექციებზე დასწრება
- ონლაინ სწავლება მეტას მოსახერხებელია, გათხოვილი და ბავშვიანი სტუდენტისთვის.
- პირადად ჩემთვის ონლაინ სწავლება ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა. ასევე დარწმუნებული ვარ რომ პირველ-კურსელებისთვის ონლაინ სწავლება ნაკლებად ეფექტური იქნება.
- რა თქმა უნდა, უნდა დარჩეს. სამწუხაროდ, ყველა ვერ ახერხებს უნივერსიტეტში სისტემატიურად დასწრებას და მათთვის ხელსაყრელია ონლაინ სწავლება და მათ კატეგორიაში ვარ მეც. სწავლის ხარისხი არის იგივე (კარგი) მთავარია სტუდენტის ჩართულობა ამ პროცესში.
- რასაკვირველია, ლექციებზე დასწრება უფრო ხარისხიანია, შესაბამისად, განათლებასაც უფრო ხარისხიანად მივიღებთ, თუმცა პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, რამაც დაგვანახა ონლაინ სწავლების არსი, ვფიქრობ, საჭიროა სწავლების ეს ფორმაც დარჩეს,

რასაკვირველია, ლექციებზე დასწრების პარალელურად. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შერეული ტიპის სწავლება პირადად ჩემთვის მისაღებია.

- როდესაც პანდემიის საფრთხე გაივლის სრულად უნდა აღდგეს რეალურ სივრცეში სწავლება.
- როცა ვერ ახერხებს ფიზიკურად სტუდენტი სასწავლებელში მისვლას და სურს რომ არ გამოტოვოს რომელიმე ლექცია ძალიან კარგი ალტერნატივაა ამ დროს
- ფორსმაჟორი სიტუაციის გამო თუ არ მაქვს შესაძლებლობა ფიზიკურად დავესწრო ლექციას, მაშინ უნდა მქონდეს შესაძლებლობა ონლაინ დასწრების
- შერეული ტიპით სწავლება ჩემთვის მისაღებიცაა
- ჩემი აზრით საჭიროა რადგან ყოფილა შემთხვევა როდესაც სამსახურიდან გამოვსულვარ და ნახევარ მძინარე ლექციაზე მჯდარვარ რომ გაგრძელდეს ონლაინ ლექცია სახლში დასვენებულად მოვუსმენ ლექციას და დიდი სიამოვნებით და უფრო მონდომებითაც კი ვისწავლი
- ჩემი აზრით სტუდენტებისთვის უფრო მოსახერხებელია ონლაინ სწავლება, პირადად ჩემთვის ასე უფრო მოსახერხებელია, როცა შეგიძლია ნებისმიერი ადგილიდან მოისმინო ლექცია და ჩააბარო სემინარი
- ჩემი აზრით, სწავლა Online რეჟიმში ძალიან მოსახერხებელია. ეს პროცესი არ უნდა შეწყდეს მომავალში. იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც მუშაობენ და ვერ ახერხებენ ყოველდღე უნივერსიტეტში სიარულს, მათთვისაც ეს კარგი შესაძლებლობაა, რომ სწავლის პროცესი არ დაზიანდეს და ქულებიც არ დაეკარგებათ. ასევე, როდესაც ვსწავლობთ online , ჩვენ შეგვიძლია ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორცაა თვითდისციპლინა, დროის მენეჯმენტი

**რომ არ ყოფილიყო თვითიზოლაცია და საგანგებო მდგომარეობის პირობები, ამდენ დროს ონლაინ სწავლისთვის გამონახავდი?**

- არა - **20 (10%)**
- ვერა - **78 (39%)**
- რა თქმა უნდა გამოვნახავდი - **80 (40%)**
- არ მაქვს პასუხი - **16 (8%)**
- სხვა - **6 (3%)**

**დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები**

- ალბათ კი, მაგრამ თუ ამდენი თავისუფალი დრო არ მექნებოდა რაც ამ პერიოდში გვქონდა ალბათ დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ დღის რომელ შუალედში ჩავგიტარებოდა ონლაინ ლექციები
- გამოვნახავდი
- გაცილებით მეტ დროს.
- დროთა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მე პირადად მივესალმები ონლაინ გაკვეთილების განვითარებას ...
- დროს გამოვნახავდი და მოსახერხებელიც იქნებოდა ჩემთვის, რადგან ვარ დასაქმებული და ყოველდღე ვერ დავდიოდი უნივერსიტეტში.
- ვერ გამოვნახავდი
- ვერა

- ვერა რადგან სტუდენტების უმეტესობა მუშაობს
- ვფიქრობ რთული იქნებოდა, რადგან შესაძლებელი იქნებოდა დღის გადატვირთვა სხვადასხვა მოქმედებებით
- იმაზე დიდი დრო გამოვნახე ვიდრე სხვა სიტუაციაში,თუმცა დიდ დროს მაინც ვერ ვუთმობდი რადგან 15 დღის პაუზის გარდა ყოველთვის ვმუშაობდი. თუმცა ცალკე დაბრკოლებაა ჩართვისთვის ოჯახი და ის საქმეები რაც ოჯახში უნდა გავაკეთოთ.
- იმიღებული ვიყავი, რომ ონლაინ სწავლებისათვის მიმემართა, რადგანაც მხოლოდ ასე იყო შესაძლებელი სწავლა
- კი გამოვნახავდი ნებისმიერ შემთვევაში ონლაინ სწავლისთვის დროს
- რა თქმა უნდა გამოვნახავდი
- რა თქმა უნდა გამოვნახავდი
- რა თქმა უნდა, გამოვნახავდი დროს, რადგან მოწადინებული ვარ ცოდნის გაღრმავებაში.
- რა თქმა უნდა,გამოვნახავდი. იქიდან გამომდინარე, რომ ონლაინ ჩართვის დროს არ იქნებოდა საჭირო უნივერსიტეტში ოფიციალურად გამოცხადება, ვფიქრობ,არანაირი პრობლემა იქნებოდა ჩართვის თავიდან ასარიდებლად.
- რა თქმა უნდა გამოვნახავდი
- რა თქმა უნდა ეს არის ძალიან ხელშემწყობი პროცესი.
- სახლში ყოფნა უწყობს ხელს დავეუთმოთ დრო ონლაინ რეჟიმს. სხვა შემთხვევაში ეს შეუძლებელიც კია.
- სიახლეების არ უნდა გვეშინოდეს. თანამედროვე ტექნოლოგიები უნდა გამოვიყენოთ
- სტუდენტს იმიტომ ჰქვია სტუდენტი რომ ისწავლის და არა ნაძალადევას ისწავლოს თვითიზოლაციაში
- ცხადია თვითიზოლაციამ და საგანგებო მდგომარეობამ მეტი დრო გამოათავისუფლა და შესაბამისად ლექციების დასწრებაც მეტად გახდა შესაძლებელი.

### **ჩამოთვლილთაგან, რომელი თვალსაზრისითაა გამართლებული და დადებითი მოვლენა ონლაინ სწავლება?**

- ტრანსპორტირების თვალსაზრისით - 74 (25%)
- დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით - 95 (32%)
- არანაირად არაა ონლაინ სწავლება დადებითი მოვლენა - 24 (8%)
- თუ ადამიანს გარკვეული შეზღუდვები აქვს იმ შემთხვევაშია გამართლებული - 98 (32%)
- არ მაქვს პასუხი - 8 (2%)
- სხვა - 3 (1%)

### **დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები**

- არ მაქვს პასუხი
- არანაირად არა ეს კარგი.
- დროის თვალსაზრისით
- თუ ადრე გზაზე 3 საატამდე ვხარჯავდი, ახლა უკვე ამ დროს სწავლებას ვუთმობ.
- თუნდაც ავადყოფნის დროს შეგიძლია დასწრება ონლაინ ლექციებზე,დროის მენეჯმენტის თალსაზრისით ვფიქრობ ყველაზე კომფორტულია
- იმ სტუდენტებისთვის რომლებიც უნივერსიტეტისგან მოშორებით ცხოვრობენ და არ აქვს იმის საშუალება რომ ყოველდღე იარონ უნიში მოსახერხებელია ონლაინ სწავლება
- იმის გამო რომ უნივერსიტეტში ვერ

- ლექტორი ვერ შეაფასებს ონლაინ სწავლებით სტუდენტის შესაძლებლობებს. ასევე ზოგიერთი სტუდენტი კომპიუტერიდან კითხულობდა სემინარებს და ეს ლექტორისთვის შეუმჩნეველი იყო...
- ლექციების პარალელურად შეგიძლია აწარმოო სხვა მნიშვნელოვანი საქმე
- მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა.
- ონლაინ სწავლება სასარგებლოა იმ შემთხვევაში თუ ვირუსის გავრცელების საფრთხე არაა საგანგაშო
- ონლაინ სწავლება სტუდენტებს გვეხმარება ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაში...
- ონლაინ სწავლება ტრანსპორტირების მხრივაც და დროის მენეჯმენტის მხრივაც დადებით მოვლენად შეიძლება შეფასდეს.
- ონლაინ სწავლებას უარყოფით თვისებებთან ერთად, გააჩნია დადებითი თვისებებიც, კერძოდ, როგორც ზემოთ იქნა გრაფაში აღნიშნული. ვფიქრობ, ნამდვილად დადებითად უნდა ჩაითვალოს დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით, აგრეთვე, ტრანსპორტირების თვალსაზრისითაც, სრულიად, სახლიდან გაუსვლელად, შევძელით და შეგვიძლია მოვუსმინოთ საჭირო ლექციას.
- ონლაინ ლექცია უფრო ნაკლებ დროს მიმდინარეობს ვიდრე ჩვეულებრივი. დავძენდი იმას, რომ ტრანსპორტირებაც არაა საჭირო.
- ორი მცირეწლოვანი შვილის დედა ვარ და ჩემთვის პრობლემურია ყოველდღიურად უნივერსიტეტში მისვლა.
- როგორც ტრანსპორტის ხარჯების შემცირების ისე დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით
- სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული შეფერხებისას; სწავლის პროცესში სტუდენტის ქალაქგარეთ ყოფნის შემთხვევაში;
- ტრანსპორტირება, დროის მენეჯმენტიც თუმცა სახლის საქმეებს რომელსაც შეიძლება თავი აარიდო უნივერსიტეტში ყოფნის დროს რადგან ფიზიკურად არ ხარ სახლში ახლა ვერ უგულებელყოფ
- ჩემი აზრით გამართლებულია ტრანსპორტირების ხარჯის შემცირების თვალსაზრისით , დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით, ასევე მაშინ როცა ადამიანს გარკვეული შეზღუდვები აქვს.
- ჩემი აზრით, ტრანსპორტირების თვალსაზრისით
- ჩემით აზრით უფრო ტრანსპორტირების თვალსაზრისით

**რომელი ლექტორის ონლაინ საქმიანობას გამოარჩევდით როგორც ყველაზე ნაყოფიერს? (შეგიძლიათ დაწეროთ რამდენიმე სახელი და გვარია, ან მიუთითოთ საგნის დასახელება)**

- ვფიქრობ, რომ ყველა ლექტორი მეტად ჩართული იყო ამ პროცესში, რადგან ნებისმიერ დროს მზად იყვნენ (თუნდაც Facebook-იდანაც კი აეხსნათ შენთვის გაუგებარი მასალა) და ამიტომაც რომელიმეს გამორჩევა არა ობიექტური მგონია.
- თითოეული ლექტორის ონლაინ სწავლება იყო ნაყოფიერი.
- ასე ცალკე ლექტორის გამოყოფა ალბათ გამიჭირდება, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ თითოეული მათგანი ცდილობდა სტუდენტებისთვის მაქსიმალური გაეკეთებინა, და მიეწოდებინა ის რაც აუცილებელია ჩვენთვის.
- რა თქმა უნდა თითოეული საგნის ლექტორი სრული პასუხისმგებლობით იყო ჩართული თავის საქმეში ასე , რომ ასე კონკრეტულად არ გამოვყოფ.
- რთულია გამორჩევა



- მე და ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებს და არამართო მასტუდენტებს მთლიანად მთელმა ადამიანმა იცის რომ ჩვენს უნივერსიტეტში არის მაღალკვალიფიციური და გამოცდილი პროფესორები და ლექტორები ამიტომ ამ ყველაფრიდან გამომდინარეობს დასკვნა რომ თითოეული ლექტორის ონლაინ ლექცია არის ძალზედ ნაყოფიერი და პროდუქტუნარიანი სტუდენტებისათვის..
- მე ძალიან გამიმართლა, რადგან ყველა ლექტორი ცდილობდა, რომ მაქსიმალურად გამოეყენებინა ონლაინ სწავლების პლატფორმა, რათა ჩვენ, სტუდენტებს არ დაგვკლებოდა რამე თითოეულ საგანში.
- პირადად მე, ვერ გამოვყოფდი ვერცერთს. თითოეული ლექტორი ნაყოფიერად მუშაობდა ლექციის ჩართვისას, სემინარების ჩაბარებისას და ა.შ. დიდი მადლობა თითოეულ მათგანს ამ გამოწვევის ასე დაუღალავად გაწევისთვის. .
- ჩემი ყველა ლექტორი ნაყოფიერად მუშაობდა
- მიჭირს გამორჩევა
- მიჭირს დასახელება.ყველამ კარგად იმუშავა
- კმაყოფილი ვარ ყველა ლექტორისაგან
- ლექტორები მასალას საფუძვლიანი ახსნის გარეშე არ გვამღვდნენ (ამ გვერდიდან იმ გვერდამდე არ შემოიფარგლებოდნენ) და ასევე ისეთ პრაქტიკულ მხარეებზე გვიმახვილებდნენ ყურადღებას, რაც აუცილებლად შეგვხვდება და გამოგვადგება პრაქტიკაშიც.

**რა იყო ის, რაც თქვენ მიერ დასახელებულ ლექტორებს განსაკუთრებით გამოარჩევდა ონლაინ სწავლებისას?**

- სწავლების მეთოდები - **115 (34%)**
- შეფასების ფორმები და კრიტერიუმები - **60 (18%)**
- ადამიანური დამოკიდებულება საქმისადმი და სტუდენტებისადმი - **135 (40%)**
- არ მაქვს პასუხი - **20 (6%)**
- სხვა - **4 (2%)**


**დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები**

- დროის გრაფიკი, დამოკიდებულება და სწავლის მეთოდიკა
- დროული კომუნიკაცია სტუდენტთან, სწრაფი უკუკავშირი
- იმედია ასეთი მეთოდი არ განმეორდება არასოდეს არც საქართველოში და არ სხვა ნებისმიერ ქვეყანაში... ონლაინ სივრცე ყველაფერში სასარგებლოა გარდა საუნივერსიტეტო და სასკოლო სწავლებისა... მიუხედავად იმისა რომ არცერთი სემინარი, ქვიზი, შუალედური და დასკვნითი გამოცდა არ გამომიტოვებია და არ შემქნია პრობლემა ქულების მხრივ(პირიქით უფრო მაღალი ქულებიც ავიღე) ამით ჩემი ცოდნის ხარისხი ვერ შეედრება პირველი სემესტრში მიღებულ ცოდნის ხარისხს... მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ რომ არა ონლაინ სივრცე საერთოდ ვერ მოვახერხებდით სწავლას
- იჩენდნენ მაქსიმალურ ყურადღებას და ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტ ადამიანს ესწავლა
- მადლობა
- მათი შრომა სტუდენტების წინაშე ფასდაუდებელია. მადლობა მათ პასუხისმგებლობის გრძნობისათვის.
- მეტად სასურველია აღდგეს სწავლება რეალურ სივრცეში.
- ონლაინ სწავლება საქანგასო მდგომარეობის დროს იძლევა საშუალებას დისტანციის შენარჩუნებაში.

- პუნქტუალურობა, კონკრეტულობა
- სისტემატიურობა.
- სწავლების მეთოდები
- სწრაფი უკუკავშირი შესრულებულ დავალებებზე და ონლაისწავლების ოგანიზებულობა
- ყველა ლექტორი აქტიურად იყო ჩართული სწავლების რეჟიმზე. ვინც ვიდეო ზარს ვერ ახერხებდა პრეზენტაციის სახით და აუდიო ჩანაწერი სახით გვიგზავნიდა.
- ყველანაირად ხელს გვიწყობდნენ
- შეფასების ფორმები
- ჩემი აზრით ეს იყო სწავლების მეთოდი, ადამიანური დამოკიდებულება საქმისადმი და სტუდენტისადმი
- ძირითადად გამოვყოფდი სწავლების მეთოდისთვის, ვინაიდან, ყველანაირად ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ჩვენთვის, თუნდაც ჩაბარების თვალსაზრისით. ასევე, გამოვყოფდი მათ ადამიანურ დამოკიდებულებას ჩვენს მიმართ, იქიდან გამომდინარე, რომ მეგობრულად ყოფილიყვნენ ჩვენ მიმართ. მაღლობა მათ ამ ყველაფრისთვის.


1. სხვა დროს, როდესაც მორჩება ვირუსით გამოწვეული პანდემია, მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ რომ ონლაინ სწავლა-სწავლების მეთოდი უნდა დარჩას? (შეგიძლიათ გამოთქვათ თქვენი აზრი თავისუფლად ღია ბრაფაში)

სულ: 202




2. რომ არ ყოფილიყო თვითიზოლაცია და საბანგებო მდგომარეობის პირობები, ამდენ დროს ონლაინ სწავლისთვის გამოიხატავდით? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი და გამოთქვათ თქვენი აზრი თავისუფლად ღია ბრაფში)

სულ: 200



3. ჩამოთვლილთაგან, როგორი თვალსაზრისითაა გამართლებული და დადებითი მოვლენა ონლაინ სწავლება? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი და ჩამოთვალოთ თქვენი აზრი თავისუფლად ღია ბრაფაში 3.1.)

სულ: 302



5. რა იყო ის, რაც თქვენ მიერ დასახელებულ ლეჟენორებს განსაკუთრებით გამოარჩევდა ონლაინ სწავლებისას? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი და გამოთვანთ თქვენი აზრი თავისუფლად დიაგრამაში 4.1.)

სულ: 334

